

## როგორა დამბაჯიშ

ჩართული ტერმინოლოგიური ლექსიკოგრა-  
ფის განვითარება ჩვეულები ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის,  
როგორც მეცნიერების დარგის, ჩამოყალიბების უკავშირდება<sup>1</sup>. 1921  
წლიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ მთავრობის დადგენი-  
ლებით საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან ჩამოყა-  
ლიბდა სახელმწიფო სამეცნიერო საბჭო, რომელსაც ქართული ტერ-  
მინების უნიფიკაციისა და ნორმირების საკითხებზე ზრუნვა პერიოდა  
მინდობილი, ტერმინოლოგიის დამუშავების საქმე სახელმწიფობრივ  
ამოცანად იქცა. სამეცნიერო საბჭოს ხელმძღვანელობა მისა ჩამოყა-  
ლიბების მოთავსე იყანება კავახიშვილს დაეკისრა<sup>2</sup>.

კარგადაა ცნობილი ისიც, თუ რა ლვაჭული დასდო ივ. კავახიშვილ-  
მა სამეცნიერო აზრის ქართულ ენაშე ამერიკელების საქმეს<sup>3</sup>. მისი  
უშუალო ხელმძღვანელობით პირველსაფე წლებში რამდენიმე სხვა-  
დასხვა დარგის ტერმინოლოგია შედგა და გამოქვეყნდა კიდეც.

1925 წლიდან, როცა განათლების სახალხო კომისარიატის საბჭოს-  
თან დაარსდა ცენტრალური სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომიტე-  
ტი (შემდგომში კომისიად წოდებული)<sup>4</sup>, ტერმინოლოგიის საქმეს სა-

1 ემ პეტიონის ზოგადი ლექსიკოგრაფიის საკითხები შესწავლის აქტს და გა-  
მოქვეყნებული მ. ჭაბაშვილს (ი. მისი „ლექსიკოგრაფია საბჭოთა საქართვე-  
ლოში“ — ე. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1972, № 4). ქართული ლე-  
ქსიკოგრაფიის სკონტენტს ეძღვნება იღ. ღღ ღღ ღღ მონოგრაფიაც „ქართული ლე-  
ქსიკოგრაფიის სკონტენტი“, თბ., 1983.

2 იხ. ჩ. ღამბაშვილის მონოგრაფია „ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგია  
და მისი შედეგების ძირითადი პრინციპები“, თბ., 1986, თავი III, გვ. 89—100.

3 იხ. დასახ. ნაშრ., გვ. 104—109.

4 1926 წლიდან ფუნქციონირებდა საქ. სსრ ცაყაზე არსებული მთავარი სატერ-  
მინოლოგიო კომიტეტიც, რომლის მოვალეობას შეაღვენდა ცენტრალური სატერმი-  
ნოლოგიო კომისიის (კომიტეტის) მიერ შედგენლი ლექსიკონების დამტკაცება და  
მთავრებრებაში გასატარებლად სანქციონირება.

თავეში ვუკოლ ბერიძე ჩაუდგა, რომლის სახელონაცაა და-  
კავშირებული ტერმინოლოგიის დარგის შემდგომი აღმავლობა.

ძნელია აღნუსხეა იმ პრაქტიკული საქმიანობისა, რომელიც ვუძ-  
ბერიძეს ტერმინოლოგიის დარგში თავისი ხანგრძლივი და დაუღალა-  
ვი მოღვაწეობის მანძილზე გაუწევია. მიუხედავად იმისა, რომ ძირი-  
თადი მეთოდოლოგიური პრინციპები ამ დროისათვის თთქმს უკვე  
შემუშავებული იყო, მაინც ბევრი რამ ამ მხრივ ჯერ კიდევ გასაჭე-  
თებელი მას წინ პქნდა. ვ. ბერიძეს უხდებოდა გზადაგზა ლექსიკო-  
გრაფიის თეორიისა და პრაქტიკის მრავალი ახალი საკითხის გადა-  
წყვეტა, ბევრი დარგისათვის ტერმინთა შექმნის საქმეში გაუკაფავა  
გზის გაკაფვა.

ტველი თუ ახალი ქართული სალიტერატურო ენისა და ქართული  
დიალექტების ლექსიკის შედმიწევნითმა ცოდნამ, შერწყმულმა ვ. ბე-  
რიძის გამორჩეულ ნიშა და ტერმინოლოგიურ ალლოსთან, წლების მან-  
ძილზე ტერმინოლოგიის ფრონტის წარმატებით ხელმძღვანელობამ  
განაპირობა მეცნიერების ამ დარგის სწორ კალაპოტში ჩაყენება, ხოლო  
თვით მას კი ნამდვილი ტერმინოლოგის სახელი დაუმკვიდრა. ვ. ბერი-  
ძის უშუალო ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით მრავალი დარ-  
გის ტერმინოლოგია გამოქვეყნდა.

ექვე ისიც უნდა ითქვას, რომ ცენტრალურ სატერმინოლოგიო კომი-  
ტეტში ლექსიკოგრაფიის ამ უბანზე მუშაობა ერთპიროვნული საქმე  
როდი იყო. მასში ჩაბმული იყო იმდროინდელ თვალსაჩინო მეცნიერ-  
თა მძღვრი კოლექტივი, რომელთა მოღვაწეობის ერთ გარკვეულ ნა-  
წილს მაშინაც და შემდგომაც ტერმინოლოგიაზე მუშაობა წარმოად-  
გენდა.

ცენტრალური სატერმინოლოგიო კომიტეტი, მეცნიერებას სხვადა-  
სხვა დარგის ტერმინოლოგიების შემუშავებასთან ერთად, სამეცნიერო  
ტერმინოლოგიის სადაცო საკითხების მოვარებასა და ნორმალიზაციის  
ახდენდა.

1936 წლიდან ცენტრალური სატერმინოლოგიო კომიტეტი სამეცნი-  
ერო ტერმინოლოგიის განყოფილებად გადაეცეთდა, რომელიც ჯერ საბ-  
ჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის  
ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შემად-  
გენლრბაში შედიოდა, ხოლო 1941 წლიდან — საქართველოს სსრ მეც-

ნიერებათა აყადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შემადგენლობაში შევიდა.

სატერმინოლოგიო კომიტეტში ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენის საქმეს დიდად უწყობდა ხელს განათლების სახილხო კომისარიატთან შექმნილი სპეციალური კომისია, რომელიც ამუშავებდა სალიტერატურო ენის სადაც საკითხთა მოწესრიგების ძირითად პრინციპებს და რომელმაც 1936 წ. დაბეჭდა კიდევ ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კრებული. უფრო მოვინანებით, 1946—1948 წლებში, ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი ასეთი კომისია უკვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აყადემიის პრეზიდიუმთან არსებობდა. 1950-იანი წლებიდან ნორმალიზაციისა და უნიფიკაციის საკითხებზე მუშაობას გეგმაზომიერი და სისტემატური ხასიათი მიეცა, კერძოდ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისია, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სადირექტივო ორგანოების, ქართული მწერლობის, სამეცნიერო დაწესებულებათა, სხვა შესაბამის ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ლიტერატურისა და პრესის მუშავები და ქართული ენის სპეციალისტები.

ზემოთ დასახელებული კომისია, რომლის სამუშაო პარატს ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტველების კულტურის განვითარება წარმოადგენს, საერთო ხელმძღვანელობას უწევს როგორც სალიტერატურო ენის ასევე, განსაკუთრებული სირთულის ტერმინოლოგიურ ნორმათა დალგენისა და დახვეწის საკითხებს.

ამგვარად, ტერმინოლოგიის ფრონტზე იმთავითვე გეგმაზომიერი მუშაობის შედეგად გამოცემულ ნორმატიული ხასიათის ტერმინოლოგიურ ლექსიკონთა რიცხვი დღეს სამოც ერთეულამდე აღწევს.

5 სამეცნიერო ტერმინოლოგიის განვითარების საქმიანობის შესახებ იპ. რამზაშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 104—110; მისივე, Деятельность отдела научной терминологии Института языкоznания АН ГССР.—Проблемы разработки и упорядочения терминологии в Академиях наук союзных республик, М., 1983, გვ. 214—221.

6 ამ ლექსიკონთა სრული ბიბლიოგრაფია თან ერთვის რ. ლამბაშიძის დასახ. ნაშრომს, გვ. 179—181. აქ არ შემოდის ცალკეული დეტორისა და დეტორთა კოლექტივის კერძო ინიციატივით შესრულებული არც დარგობრივი გამარტივითა, არც უცხონოვან-ქართული თუ ქართულ-უცხონოვანი დაზობრივი ლექსიკონები, რომელთა ჩაიცხო საკმაოდ ბევრია. ეს ლექსიკონები თუმცა არაა მკაცრად ნორმირებული, მაგრამ მათი უმრავლესობის ტერმინოლოგიური ნაწილი განკუთყოფებაში შემოწმებულია და მოწოდებულია ქსენია: ი. ქუთათლაძის „მასალები წამლით ქმნის ტერმინოლოგიისთვის“ (I გმოც. 1954, II გმოც. 1965), თ. დაუკვამვილის „მუსიკალურ ტერმინთა გამზარტებითი ლექსიკონი“ (1955.), თ. კვირაცხვილის „მოკლე რუსულ-ქართული ხელოთმოძღვრული განმარტებითი ლექსი-

სტატიის მიზანს შეადგენს ჩვენში გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონების მიმოხილვა, მათი შედგენის საყითხებში მსჯელობა, მუშაობის იმ სპეციფიკის წარმოჩენა, რომელიც ამგვარი ტიპის ლექსიკონების შედგენის თან ახლავს, და ლექსიკონებში შესულ ტერმინთა პრინციპები რეალიზაციის საყითხების გარკვევა, — ერთი სიტყვით, იმ ძირითადი საყითხებისათვის თავის მოყრა, რომელიც ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფიის პრობლემებს უშუალოდ უკავშირდება.

ვიღურე ტერმინოლოგიური ლექსიკონების დახმათოებაშე გადავიღოდეთ, რამდენიმე სიტყვით ლექსიკონთა ტიპოლოგიის საყითხებში შევტერდებთ.

ძირითადად ლექსიკონების შემდეგი ტიპებია გამოყოფილი: განმარტებითი (საერთო ენისა ან დარგობრივი), თარგმნითი (ორ-, სამ- და მეტენოვანი), ენციკლოპედიური, ტერმინოლოგიური, ენციკლოპედი-

კონი" (1961), გ. გორგაძისა და გ. კარტოშიას „საბიბლიოთურო ტერმინების ლექსიკონი" (1962), თ. კეიირკველიას „ხურობობილების განმარტებითი ლექსიკონი" (1963), ი. ღაფანაშვილის „მასალები ტერმინულოგიური ლექსიკონისათვის" (1963), გ. იარალოვის „პოლიტიკური ლექსიკონი" (1956), ნ. ალანიას, ბ. დობორგვინის, მ. დუღუჩვანისას, ნ. ჭოლოძესას, ა. ჩინთიბიძის „ლიტერატურისტის მოყლე ლექსიკონი" (1966), გ. თოფურიასა და გ. ჭუთნიას „თუთალმოწყარმავოლოგიური ცნობარი" (1982), ლ. ლევაგას „გარეუსოლოგიური ტერმინებისა და სტერალური გამოთქმების ლექსიკონი" (1972), გ. ბერიძის „კედული ხელოვნების ლექსიკონი" (1971), ი. ჭილაძის და ე. შუშანიას „ლიტერატურამცოდნების ლექსიკონი" (1971), ი. ბერიძვალის „პატინტმცოდნების ტერმინოლოგიის მასალები" (1972), ც. გაბრესარიჩიას „ნებლისურ-ქართული მასუმატიკური ლექსიკონი" (1983), ს. აბაშიძისა და ლ. აბაშიძის „რუსულ-ლათინურ-ქართული საქართველოს გამარტებითი ლექსიკონი" (1973), არჩ. ჭანაშვილის „თეოზების ნომენკლატურა" (1975), ი. ღამიშვილის „მოყლე ბითლოვიგური ლექსიკონი" (1979), რ. კავსაძის „სამხედრო ტერმინთა რუსულ-ქართული მოკლე განმარტებითი ლექსიკონი" (1980), ა. აფავეძისას, გ. ინასარიძისას, ა. სიხარულაძის, გ. აფავეძისას „რექოლოგიური ლექსიკონი" (შასალები, 1980), ვ. ახალაძის, თ. ებანონიძის, გ. კასრაძისას, ლ. კვერცხლავას, ც. ცხაკავაიას „მართვის ფრთხოებული სისტემების ტერმინების განმარტებითი ლექსიკონი" (1986), შ. ერიხ ხაძისა და სხვების „საუფიქრო ქიმიისა და ტექნიკული განმარტებითი ლექსიკონი" (1985), რ. ბერულავასა და ო ქავეჩინიას „ნეტო-სურ-ქართული ლექსიკონი გმოთვლით ტერნიკიასა და მონაცემთა ლაშებისაშვილის ლექსიკონი" (1985) და სხვ.

7 განმარტებით ლექსიკონებს სხვაგვარად ფილოლოგიურ ლექსიკონებაც უწოდებენ. ფილოლოგიური ეწოდებათ იმის გამო, რომ მათში შემავალი სიტყვები (ძარითადი სტერილური სიტყვები) „ფილოლოგიური" წესითა განმარტებული: მოცემულია მოკლედ სიტყვის ყველასათვის გასაგები მინშენელობა (და არ რენდება თუ რეალის თანმიმდროვე შეცნირული ღონის შესაბამისი ასენა, ან მთელ ძარის, როგორც ეს ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონებშია), ამ სიტყვითა ხმარების შემთხვევები, გადატანით მიშენებული ფორმები და სხვ.

ური დარგობრივი, უცხო სიტუაცია, დიალექტური, ერამოლოგიური, ისტორიული, იდეოგრაფიული ანუ იდეოლოგიური (სადაც სიტუაცია დალაგებულია აზრობრივი სიახლოვის მიხედვით), ფრაზეოლოგიური ანუ იდიომატური დიფერენციალური (ლექსიკონი, რომელსაც შეიძეს მონათესავე ენათაგან მხოლოდ ის სიტუაცია, რომლებიც ასხვავებს მათ ლექსიკურ შემადგენლობას), თეზიურული, ახალი სიტუაციისა და გამო-თქმებისა, ანდაზებისა (ანუ პარემიოლოგიური), ხატოვის სიტუა-თქმა-თა, სიძნელეთა ლექსიკონი, სინონიმებისა, ანტონიმებისა, პარონიმებისა, ლექსიკონ-ცნობარები, სასკოლო სახელმძღვანელოებზე დართული გა-უგებარი სიტუაციის ლექსიკონი, მწერლის ენისა, ტოპონიმთა, ოხომას-ტიკური, გრამატიკული ლექსიკონი, ძირების ლექსიკონი, მორფემთა ლექსიკონი და სხვ.

ცალკე ჭგუფს ქმნის ე. წ. არასემანტიკური ლექსიკონები, როგორიცაა: ორთოგრაფიული (საერთო ენისა, დარგობრივი, კომპოზიტების დაწერილობისა, გეოგრაფიული სახელებისა, პერსონალიებისა და სხვ.), ინვერსიული, სიხშირისა, ორთოეპიული, სიმფონია-ლექსიკონი, მახვილების ლექსიკონი და სხვ.

აღმართ კიდევ სხვა ტიპის ლექსიკონების დასახელებაც შეიძლებოდა, მაგრამ ტიპოლოგია ლექსიკონებისა ცალკე პრობლემაა და იმომწურებად მათზე მსჯელობა ჩვენს ამოცანას არ შეაღვეს. ჩვენ ამაზე

---

8 ლექსიკონთა ძირითადი საკლასიფიკაციო სისტემა აღწერილია ლ. შჩერბას ცნობილ ნაშრომში „Опыт общей теории лексикографии“, რომელიც შესულია მისავე რწეული შრომების კრებულში „Избранные работы по языкоznанию и фонетике“, т. I. Ленинград 1958, № 54—51. ესეებ გვარე დარბევე | დრევ | (1950) ლექსიკონთა სხვადასხვა ტიპის განვითარები ცენტრული ემანილო მცენტრის ბ. კასარენის დაწერებული ნაშრობის „Етимология в сстематическом изложении“ (რუსული თარგმანი შესრულებულია მოსკოვში, 1958), რომელიც ლექსიკონთა შედეგის მრავალრიცხვოვან თორმელ და პრატიკულ პრობლემას ეძღვნება.

მიუხედავად დასახელებული შრომების მაღალი მეცნიერული დონისა, ბუნებრივია, მათში არ შეიძლებოდა ყოფილიყო აღწერილი ლექსიკონის უკეთა ის ტიპი, რომელიც დღეს გვხვდება. მნეამიდ ამ საკითხზე საციალური შრომები შექმნილი, რომელთაგან უნდა აღინიშნოს: Булаховский Л. А., Лексикография.—Введение в языкознание, ч. 2-я, 1953, гл. 137—159; Галкина-Федорук Е. М. Сведения по русской лексикографии.—Современный русский язык. М., 1954, гл. 172—202; Некрасова К. Ф., Классификация и краткий обзор технических переводных словарей, изданных в России и СССР.—Ученые записки. Кишиневский гос. ун-т, 1963, т. 50 (Сборник научных работ по иностранным языкам), гл. 44—48; А нашева М. Л., Лексикография и классификация словарей русского языка. Нальчик, 1971; Новиков Л. А., Типология учебных словарей.—Учебные словари русского языка. М., 1973, гл. 5; Пе-

Յմշչյլոծ օմջենագ, համդենացաւ յս Ծյրմինոլոցայր լըյիսոյոնտա დասաեղուատեպելագ զացուուրճէն լա Ծյրմինոլոցայր լըյիսոյոնտա- ցուու սեցա սպատեցնաւ գանենոլուուսա յամոցալցըն.

Նյեմու դասաեղուաթուու լըյիսոյոնտա յրտմանցուուսագան յանենեցուաթու- լուա լանունուլուուն, սբույժուրիու, Մելցոնի პրոնցուաթուն, Մելցոն- լուան, մուցուլուան, յանմանըն տա խասուուս, նորմանուլուանսա ան- համը սեցա տցալսանուուսու.

Իսմուուլուու լըյիսոյոնտա յան սրուլուա յալոյ շնճա յամուոու Ծյրմինոլոցայր լըյիսոյոնտա յրտմանցուաթու, րոմելուա մորուս პրոնցուաթու սեցա- տեանց, իցուլուուրիու, արց լանարացուաթուն. յս յասացուուրիու, տու յացո- տցալուութուն օմ մոտեռուուն, րոմելուութու Ծյրմինոլոցայր լըյիսո- յունն վայցուաթու: միցարու րուուս լըյիսոյոնտու տայմուուրուլու շնճա ոյուս օմ մասալու, րոմելուութու յարցուուլու դարցու սբույժուալուութուն սապարտա- յրտու սանուալուուն վարմանցուուն, յս մասալու շնճա ոյուս շնուուցուու- թուլու, միցուութու նորմանըն յալուու լա սացալուութուլու սապարու յացուու- սացուու.

յանենեցուաթու, րոմելուու Ծյրմինոլոցայր լըյիսոյոնտա յըու օյուս, յասա մատու Մելցոնի նոցու մեսարու — ացենուլուուն, մասալու մովուութուն վյուսու, մուցուլուուն. ծնենյենուուրիու, այ առ օցուուութունն մասա- լուաթուու մեսարու, րոմելուու յացուուլու դարցու Ծյրմինոլոցայր լըյի- սոյոնն տացուուս յյես.

Ծյրմինոլոցայր որցանուենաւ մոյր յամուութուլու Ծյրմինոլո- ցայր լըյիսոյոնտա իցուլուուրիու, որցուանուա լա որու (հուսուլ-յար- տուլու և յարտուլ-հուսուլ) նախուուսացանա Մելցոնիուու. (ուշուատաւ,

---

тушков В. П., Сергеев В. Н., О классификации словарей.—Проблеметика определений терминов в словарях разных типов, Ленинград, 1976, յյ. 13—19; Цывин А. М., К вопросу о классификации русских словарей.—ВЯ, 1978, № 1 յյ. 57—63; Петросян Л. Б. Главные типы армянских терминологических словарей.—Проблемы разработки и упорядочения терминологии в Академиях наук союзных республик. М., 1983, յյ. 184—191 լա սեց.

9 Սամցոնյուրու լուրցուաթուն Մեցենեցուուր մուսանիրնա, րոմելու մուրցուաթու շուբեռ սուրցատա լըյիսոյոնտա Ծյրմինոլոցայր լըյիսոյոնտա կարտիգուուս արու մոյուուցենուլուու (օք. Петушков В. П., Сергеев В. Н., դասա. նուշ. յյ. 13). ան տցալսանիրնաւ յըր յայունաթու, համցենալուու շուբեռ սուրցատա լըյիսոյոնտու Մեմա- ցալու սուրցատա յամացուան շումը Ծյրմինոլոցայր մասալու Մելցոնի բար- մաուցցուու, մաշու առ յինու յրանու հույսը հույսը սուրցատու յացուուննա, րոմելուու յը- սուուցն գամանատեցուու Ծյրմինոլոցայրուսացուու.

10 Սամցոնյուր, յայուս մեռուու յրտու նախուուսացան Մելցոնիուու լըյիսոյոնտա յը- ս, իցուլուուրիու, աջոնցուու յամուութու (գունուուս, սամցուուն, յամուուս, ուշու- գուուլու և նոցու սեցա).

დარგისდა მიხედვით, ეს ლექსიკონები სამენოვანი — რუსულ-ქართულ-ლათინურიც შეიძლება იყოს).

გინაიდან ჩვენში გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონები ქართველი მკითხველისთვისაა გათვალისწინებული, რომელსაც სურს ამა თუ იმ რუსული ტერმინის ქართული შესატყვისი იცოდეს, მის პირველ ნაწილს რუსულ-ქართული შეადგენს. ლექსიკონის ამ ნაწილს ძირითად ნაწილს ვუწოდებთ, ხოლო მეორე ნაწილს, რომელიც იმავე მკითხველს საშუალებას აძლევს ლექსიკონში ქართული ტერმინის რუსული შესატყვისი მოიძიოს, და, ჩვეულებრივ, წარმოადგენს პირველის შებრუნვებულ სახეს, პირიბითად რე ვე რსიულს დავარქევთ (მაგ., რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიისთვის რევერსული იქნება მისი შებრუნვებული, ქართულ-რუსული ნაწილი)<sup>11</sup>.

შედგენილობის მიხედვით ტერმინოლოგიური ლექსიკონები შეიძლება იყოს: ა) კრებითი და ბ) არაკრებითი. კრებითია თია ისეთი ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მომიჯნავე ან ერთმანეთზე დამოკიდებული დარგის ლექსიკას. ასეთია, მაგალითად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ გამოცემული ტექნიკური ტერმინოლოგიები (1957, 1977) — ფაქტობრივად, იგივე პოლიტექნიკური ლექსიკონები. ამ ლექსიკონის ბოლო გამოცემის მხოლოდ რუსულ-ქართული ნაწილი 65.000 ტერმინსა თუ ტერმინოლოგიურ გამოთქმას მოიცავს. მისი რევერსიული ნაწილიც კრებითია სოფლის მეურნეობის ტერმინოლოგიაც (1959), სადაც გაერთიანებულია ტერმინები სოფლის მეურნეობაში შემავალი თოთქმის ყველა ძირითადი დარგიდან (25.000 ერთეული).

არაკრებითია ტერმინოლოგიური ლექსიკონი, თუ ის ცალკეული დარგის მასალას უყრის თავს, თუმცა, თავის მხრივ, უველა ეს დარგი შეიძლება რამდენიმე ქვედისციპიპლინად იყოფოდეს (მაგ., რაღიოელექტრონიკა, რომელიც ტექნიკაში შემავალი ერთ-ერთი დარგია, თავის

11 ტერმინი რე ვე რსიული ამ მნიშვნელობით სამეცნიერო ლატერატურაში ნახმარი არ არის. იგი ინგლისის მონასტესავე ცნებაა (თუმცა ნიუბრისტორივად განსხვავდებული) და შებრუნვას, შეკვეთას, გადასმას გულისხმობს (მაგ. მიუთითებს უცხო სიტყვათა ლექსიკონში მოცემული ამ სიტყვის გამარტება და საკუთრებული უცხო სიტყვას ლინგვისტური ტერმინების ლექსიკონში (1969) ინგლისურ-ურანულ რევერსიულთან (ინგ. reversible, ფრანგ. réversif) ვათნაბრებული გერმ. inversiv). სიტყვა რე ვე რსიულის ახალი სემანტიკით დატვირთვა, რაზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, გარევეულ სირთულეს მოხსნიდა ტერმინოლოგიურ სიტყვათმარებაში, კრძალ, ამით მოხერხდებოდა იმგვარი ცნების სახელდება, როგორიცაა ტერმინოლოგიური ლექსიკონის ძირითადი ნაწილის შებრუნვებული ნაწილი.

მხრივ, აერთიანებს რადიოკავშირის სამაუწყებლო და სატელევიზიო ტექნიკს, ნახევრადგამტარული ელექტრონიკის, ვეტომატიკის, რადიოტელემეტრიკის — კვანტური რადიოლექტრონიკის, ნახევრადგამტარული ინტეგრალური სექტების, რადიოლოკაციის, ფოტო- და თერმოლექტრონიკის, კომისალური რადიოლექტრონიკის, ზემაღლალი სიტორის ტექნიკის, გამოთვლითი ტექნიკის, მიკროელექტრონიკის, რადიოულექტრონიკისა და სხვ. ქვედარების მასალას). თითოეული ამ დარგის ლექსიკონი ვიწროდარგობრივი იქნება.

განსხვავებულია ტერმინოლოგიური ლექსიკონები მასალის მიწოდების თვალსწირისითაც. ასეთ ლექსიკონებში სიტყვები ძირითადად ტერმინოლოგიებისათვის შემუშავებული საერთო წესის მიხედვითაა განლაგებული: ძირითად სალექსიკონო ერთეულად გამოტანილია არსებითი სახელი, ყველა დანარჩენი გამოთქმა ამ არსებითთან იყრის თავს. სწორედ ამიტომა, რომ სალექსიკონოდ გამოტანილი ორ- და მეტსიტყვიანი ტერმინოლოგიური გამოთქმების წყობა ლექსიკონში ინვერსიულია (ион атомный, конвейер ленточный, аңда: қа煉да ғამოსხივებადი, მახა აკუსტიკური და სხვ.). გამონაკლისს ქმნის ისეთი გამოთქმები, რომლებიც გაქვევებული სახით გვხვდება: ბათавსკie ლიკვიდი ბატავიის ცრემლები, ბენგალьский огонь ბენგალიიური ცეცხლი და სხვ.

თავის მხრივ, ინვერსიული მასალა ან ბუდობრივი სისტემითა დალაგებული, ან მარტივი ანბანური წესითა გაწყობილი. ბუდობრივი წესი მეტი ეკონომიკურობისათვისაა შემოღებული და, ჩვეულებრივ, დიდი მოცულობის ლექსიკონებისთვისაა გამოყენებული.

ტერმინოლოგიაზე მუშაობა ორ ძირითად ეტაპად იყოფა: ერთია — სამეცნიერო დისციპლინებში ხმარებული ცნებების გამოვლენა და ცნებათა მთელს სისტემაში თითოეულისათვის სათანადო აღგილის მიჩენა, ამ ცნებათა ზუსტი დაფინიცია და მათი გამომხატველი ტერმინების ფიქსირება, ერთი რომელიმე დარგის ფარგლებში ტერმინიალიგიური ლექსიკის მოცულობისა და მიჯნების დადგენა; მეორეა — წმინდა ლინგვისტური ასპექტები, რომლებიც გულისხმობს ცნებებისათვის ზუსტი შესატყვისების მოძნას, ენის პოტენციური შესაძლებლობების გამოვლენას, ქართული ენისათვის დამახასიათებელ სპეციფიკურ საშუალებათა გამოყენებას, ცალკეული ენობრივი ფაქტების შეფასებასა და სხვ.

პირველი რიგის საკითხებს აგვარებენ სპეციალისტები, რომელთა ინიციატივითაც დგება ტერმინოლოგია მრავალი სხვადასხვა დარგისათვის. ისინი, ასპექტებენ რა ამა თუ იმ დარგის ტერმინოლოგიის პრაქტიკულ საჭიროებას, უყრიან თავს მათვეის საჭირო მასალას, ად-

გენერ სიტყვანს რუსულ ენაზე, რუსულ ტერმინებს მიუწერენ ქართულ შესატყვისებს იმ სახით, როგორითაც ფიქსირებული არიან ისინი სამეცნიერო ან სასწავლო ლიტერატურაში და გამოიყენებიან პრაქტიკაში. ამ მასალას პირველადი კლასიფიკაციისა და ქვეკომისიებში განხილვის შემდეგ სათანადო ორგანიზაცია წარმოადგენს ენაიმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში. ამ განყოფილებაში მასალა წინასწარი შემზადების შემდეგ (ჩაც, თავის მხრივ, გულისხმობს მასალის გამართვას განყოფილებაში შემუშავებული წესების მიხედვით, მის გაცხრილებას ზოგადი იუ მოძიხავი დარგის ტერმინებისაგან, მის შეჯერებას ყველა შესაბამისი გამოცემული თუ ხელნაწერი ლექსიკონის ფონდებთან და სხვ.) განიხილება სპეციალური სარედაქციო კომისიის სხდომებზე, რომლის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები (იმ დარგისა, რომლის ტერმინოლოგიაც მუშავდება) და ენათმეცნიერები. ზოგჯერ საჭირო ხდება მომიჯნავე დარგის სპეციალისტების მოწვევაც. სპეციალისტთაგან მოწვევული არიან შესაბამისი დარგის (თანაც რამდენიმე სხვადასხვა დაწესებულების) წარმომადგენლები, მათ შორის საპირისპირო თვალსაზრისებისა და მიმართულებების მქონე სპეციალისტებიც.

ენათმეცნიერთაგან, გარდა სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების თანამშრომლებისა, სხდომებში მუდმივ მონაწილეობები ამავე ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის, თარგმნითი ლექსიკონებისა და ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებათა ხელმძღვანელები<sup>12</sup>. სხდომებზე დეტალურად განიხილება ყველა ტერმინი, ფართო მსჯელობის საგანი ხდება მონაწილეთა არგუმენტაციები და სწორედ ამგარი ენობრივი კოლიზიების შედეგად მტკიცდება ზუსტი და აღვევატური შესატყვისები.

სადაც საკითხები, რომელთა შესახებ შეთანხმება სარედაქციო კომისიის სხდომებზე არ ხერხდება, გაიტანება ინსტიტუტის სამეცნიერო საპროექტო სხდომებზე და სპეციალური მსჯელობის საგანი ხდება.

ამგვარად, ყოველი ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელიც მოწოდებულია და დამტკიცებული სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილების მიერ, არის კოლექტიური ნაშრომი, სპეციალისტების ერ-

<sup>12</sup> დასახელებულ განყოფილებებთან ურთიერთობა მათი ხელმძღვანელების მხოლოდ სხდომებში მონაწილეობით როდე გამოიხატება. სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებას თავისი სამუშაო კოორდინირებული აქვს ამ განყოფილებებთან; საჭირო შემთხვევებში უთანხმებს მათ რთულად გადასაშვერ, სადაც საკითხებს, ეთანთხურება მათ, იყენებს ამ განყოფილებათ მასალებს. ამგვარ ურთიერთობის გარეშე ტერმინოლოგიურ მუშაობაში შევრი და ზოგჯერ სრულად დაეცვაველი ხიროვანი შეიძლებოდა განენილყო.

თობლივი და ხანგრძლივი მუშაობის შედეგი. მხოლოდ ასეთი წესით დამუშავებულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონს ენიჭება უფლება იყოს მიჩნეული ყველასათვის სავალდებულო სახმარებლად. არც კრთი ორ-ენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონი, რომელიც კი მომზადებულა და გამოცემულა განყოფილების გარეშე, არ შეიძლება იყოს ნორმა-ტიული. უფრო მეტიც, მთავრობის სათანადო დადგენილებით ტერმინოლოგიური ლექსიკონების გამოცემა სხვა წესით აკრძალულია.

ამგვარად, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილება არის ის ცენტრი, სადაც კოორდინირებულია ორენოვანი ტერმინოლოგიური ლექსიკონების უნიფიკაციის, მათი განხილვა-სანქციონირების საქმე.

ამივე განყოფილებაში, ბუნებრივია, მუშავდება ტერმინოლოგიის თეორიული საკითხებიც, რომლებიც ხელს უწყობენ ცალკეული ენობრივი პრობლემების გადაწყვეტასა და ქართულ ენაზე ტერმინთა შექმნის საერთო პრინციპების შემუშავებას.

აქ არაფერს ვიტყვით იმ ზოგადი მეთოდოლოგიური პრინციპების შესახებ, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენში სამეცნიერო ტერმინოლოგიის შექმნისა და შესაბამისად ლექსიკონთა შედგენის საქმეს (ამაში იგულისხმება ტერმინოლოგიის ლექსიკური ბაზისა და წყაროების, ტერმინოლოგიის სტრუქტურის — მისი სიტყვაშიარმოებითი მოდელებისა და შესაძლებლობათა გამოვლენის საყითხები და მრავალი სხვა)<sup>13</sup>. აქ შევეხებით კონკრეტულად იმ საკითხებს, რომლებმაც განსაზღვრეს ტერმინოლოგიის განვითარების გზები და ვიმსჯელებთ იმ მეთოდებსა და ხერხებზე, რომლებსაც ეყრდნობა პრაქტიკული ტერმინოლოგიური საქმიანობა ჩვენში.

ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის აღმავლობა ძირითადად ორმა გარემოებამ განაბირობა: ერთი მხრით, თვითონ მეცნიერებთა სხვადასხვა დარგის განვითარებამ და, მცორე მხრით, ფილოლოგიური მეცნიერების განვითარების დონემ. ენის ზოგადი და დარგობრივი ლექსიკონების დამუშავების მაღალი კულტურა ჩვენში (ძველი და ახალი ქართული ენის ლექსიკონები, მრავალრიცხოვანი დიალექტური ლექსიკონები და დიალექტების მიხედვით გამოვლენილი ლექსიკა, რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული თარგმნითი ლექსიკონები და მრავალი სხვა) და ლექსიკის თეორიული თუ პრაქტიკული ხასიათის საყითხების კვლევა მყარ ნიაღავს ქმნიდა ტერმინოლოგიური ლექსიკის გასამდიდრებლად.

13 ამ საკითხებს სპეციალურად ეძღვნება რ. ლამბაშიძის დასახ. ნაშრომა.

ამ თვალსაზრისით საგანგებოდ უნდა გამოიყოს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ა რ. ნ. ჩიქობავას ხელმძღვანელობითა და თაოსნობით შედგენილი, 113 ათასი სიტყვის მომცველი „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ 8 ტომად, რომელიც მოუწურავ წყაროს წარმოადგენს სხვადასხვა დარგის ტერმინთა შემუშავების საქმეში; ამავე ინსტიტუტის მიერ გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონი 3 ტომად (1956—1959) ქ. ლომთათიძის საერთო რედაქციით, მის საფუძველზე დამუშავებული რუსულ-ქართული ლექსიკონის ერთობმეული (1983, რედაქტ. მოადგილე ა. კობახიძე), ვ. თოფურიასა და ივ. გიგინე შვეიცავის მიერ შედგენილი ვრცელი ორთოგრაფიული ლექსიკონი (1968), მ. ჭაბაშვილის მიერ შედგენილი უცხო სიტყვათა ლექსიკონი (1973), ივ. გიგინე შვეიცავის რედაქტორობით გამოცემული თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები, წ. I, თბ., 1970; მისივე რედაქტორობით გამოცემული „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების“ კრებული (I—V 1972—1983; VI ტომიდან რედ. შ. აფრიდონიძე), ქართული ლექსიკის შედგენილობისა და ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი შემაგებელი ნაშრომი ბ. ფოჩხუასი „ქართული ენის ლექსიკოლოგია“ (1974) და სხვ.

მნიშვნელოვანი როლი ტერმინოლოგიური ლექსიკონების შედგენის საქმეში შეასრულა ივ. ჯავახიშვილის მიერ 1933—1934 წლებში საქართველოს ყველა კუთხეში შეგროვილმა შინამრეწველობის მასალებმა, ლ. ლეონიძის „მესაქონლეობის ლექსიკონმა“ (1925), ალ. მაკაშვილის „ბოტანიკურმა ლექსიკონმა“ (1961) და სხვ.

ლექსიკონების გარდა, მნიშვნელობა ჰქონდა იმ თეორიულ კვლევას, რომელიც წლების მანძილზე ჩვენში ლექსიკისა და ტერმინთა ისტორიის, ეტიმოლოგიისა და ენობრივი ანალიზის საკითხების მათრულებით ტარდებოდა<sup>14</sup>.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ენათმეცნიერების ინსტიტუტი დარგობრივი ლექსიკის ხაზით შესრულებული მნიშვნელოვანი მონოგრაფიები: ბ. საბაშვილის „ნათესაობის ძირითადი ლექსიკა ქართულ ენაში“ (1950, საკანდ. დისერტ.), ლ. გელენიძის „ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში“ (1974, 300 გვ.), ი. ქერქაძის „ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში“ (1974, 282 გვ.).

14 წერილს თან გურთავთ თეორიული ხასიათის ძირითადი ნაშრომების სიას, რომლებიც სპეციალური ლექსიკისა და ტერმინების საკითხებს შეეხება.

ლ. ას ათ ი ან ი ს ა — „ვაჩის კულტურასთან დაკავშირებული ლექ-სიკა ქართულში“ (1978, 200 გვ.).

ნაშრომში გამოვლენილი და შესწავლილია მდიდარი დარგობრივი ლექსიკა, რომელიც მოპოვებულია უშუალოდ პირველწყაროებიდან, ამცი გათვალისწინებულია ქართველური ენების მონაცემებიც.

შეიძლება გადაუჭირბებლად ითქვას, რომ, თუ არა ასეთი საიმედო წყაროები და საყრდენები, ტერმინოლოგიური ლექსიკოგრაფია ვერ შეძლებდა ასე წარმატებით გზის გაკაფვასა და იმ მოთხოვნათა დაკმაყოფილებას, რომლებსაც მას მეცნიერების სხვადასხვა დარვის განვითარების დღევანდელი დონე უყვენებს.

ტერმინთა უნიფიკაციის საქმეს დიდ სამსახურს უწევს სამეცნიერო ტერმინოლოგიის განყოფილებაში შედგენილი ტერმინების ინდექსი, რომელშიც თავმოყრილია ტექნიკის დარგებში ნახევარი საუცნის მანძილზე გამოცემული ტერმინოლოგიური ლექსიკონებიდან ამოწერილი, ანბანზე გაწყობილი და წლების მიხედვით რეტროსპექტულად დალაგებული მასალა<sup>15</sup>.

ეს ინდექსი, გარდა იმისა, რომ საუკეთესო საშუალებაა ტერმინოლოგიურ სიტყვათხმარებაში არსებული სისტრელის თავიდან ასაცილებლად, შესაძლებლობას იძლევა თვალი გადევნოთ ტერმინის ეკოლუციის გზებს, მისი გარდაუმნის გრამატიკულ-სემანტიკურ პროცესებს, მეთოდებსა და ხერხებს, რომლებიც გამოიყენებოდა ტერმინის ბედის გადასაწყვეტილ, საბოლოოდ მის დასახვეწიად და დასახუსტებლად.

არანაერები მნიშვნელობა აქვს ამავე განყოფილებაში შედგენილ ინვერსიულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონსაც, რომელიც მდიდარ მასალას იძლევა ტერმინთა მორფოლოგიური სეგმენტაციისათვის, სიტყვის მაწარმოებელი ინვენტარის გამოსაყოფად, ერთნაირი კატეგორიის ცნებებისათვის ერთნაირი საღერივაციო მოდელების შესამუშავებლად და სხვ.

ლექსიკონთა შედგენის საქმეს უთუოდ დიდად შეუწყობს ხელს ლექსიკოგრაფიის დარგში მანქანური მეთოდების დანერვვა, ლინგვოსტატისტიკური ფონდის შექმნა.

როგორც აღინიშნა, ლექსიკოლოგ-ტერმინოლოგები აჯგენენ ორ-ენოვან ტერმინოლოგიურ ლექსიკონებს, რომელთა დანიშნულებაა ერთი ენის ტერმინოლოგიური სისტემის მასალის შეფარდება მეორე ენის ტერმინოლოგიური სისტემის მასალასთან ამა თუ იმ დარგის ფარგლებში.

15 განყოფილებას განზრახული აქვს აზგვარი ინდექსის შედგენა სხვა ჟარგონისთვისაც.

ერთი შეხედვით, მეგვარი სამუშაოს ჩატარება თიოქოს ტერმინოლოგიის საერთო თეორიული საფუძვლების კვლევაში კი არ უნდა მდგრამარეობდეს, არამედ პრაქტიკულად იმის გადაწყვეტაში, თუ როგორ ითარგმნოს სხვა ენის (უპირატესად რუსულის) ესა თუ ის სიტყვა, ან რა ლექსიკურ-გრამატიკული ინვენტარი იქნეს გამოყენებული ან სიტყვათა ქართული გადმოსაცემად.

მაგრამ ფაქტობრივად იმის გამო, რომ ყოველი ენის ლექსიკურ სისტემას თავისი მკვეთრად გამოხატული სპეციფიკა აქვს და ეს სისტემები არც სტრუქტურით და არც სემანტიკით არ არიან აღეკვატური, საყირო ხდება ქართული ენის მასალაზე ყველა იმ ოპერაციის ჩატარება, რომლებიც სწორედ მხოლოდ ზოგადთეორიულ საკითხებში წელო-მის გზით მიიღწევა და რომლებიც უკეთ გამოავლენს ამ ორი სხვა-დასხვა სტრუქტურის მქონე ენის სპეციფიკას, იქნება ეს ონომასიოლო-გიის სხვადასხვა ასპექტები, ტერმინთა სემანტიზაციის პროცესები (სი-ტყვათა მნიშვნელობის ცვლის, მათი მეტაფორიზაციის თუ მნიშვნე-ლობის ევოლუციასთან დაკავშირებული სხვა ღინამიკური პროცესები, სინონიმთა გამოხშირების ან მათ შორის მნიშვნელობათა დანაწილების, პოლისემიისა და ომონიმიის თავიდან აცილების საკითხები). როგორც იმგვარი ფაქტებისა, რომლებიც ხელს უშლიან ცნებათა მკვეთრი გა-მიგენის საკითხს და სხვ.), თუ სიტყვათა სტრუქტურასთან, მათ წარ-მოებასთან დაკავშირებული პრობლემები.

სწორედ მიტომაა, რომ ლექსიკონების შედგენის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის თეო-რიული საფუძვლების დამუშავებასა და კვლევას. სწორედ მეგვარი კვლევის შედეგები, ამ გზით შემუშავებული ხერხები და მეთოდები უნდა იყოს რეალიზებული ტერმინოლოგთა პრაქტიკულ საქმიანობაშა. ამ ხერხებისა და მეთოდების ჩვენება, მთელი იმ მექანიზმის სასრულიანობით აღწერა, რომელიც ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიის და-მუშავებისა და ლექსიკონების შედგენის საქმეს უკავშირდება (თუნ-დაც რომელიმე გარკვეულ სინერონიულ ჭრილში), ბუნებრივია, ერთი სტატიის ფარგლებში ვერ მოხერხდება. მისათვის სულ მცირე იმდე-ნივე სტატია და გამოკვლევა საჭირო, რამდენიც თვით საკითხია.

ჩვენ შევეცდებით ტერმინოლოგიური ლექსიკონების დამუშავების პრაქტიკიდან რამდენიმე კონკრეტულ მაგალითზე თვალი გავადევნოთ ტერმინოლოგთა მუშაობის სპეციფიკას და წარმოვაჩინოთ ამისთან და-კავშირებით საკითხების ის წყება, რომელიც ითხოვს ტერმინოლოგთა აქტიურ ჩარევასა და მონაწილეობას.

ასეთ საკითხად შეიძლება პირობითად სინონიმია აეირჩიოთ, რამ-დენადაც აქ, სისტემურ ურთიერთობათა სწორედ ამ ფორმაში, უკეთ

ვლინდება ის თავისებურება, რომელიც ყოველ ფალეზლ ენას აქვს და რომლითაც იგი უპირისპირდება მეორე ენას.

როგორია ის კრიტერიუმები, რომლებითაც ხელმძღვანელობდა განყოფილება სინონიმის საკითხის გადაწყვეტისას, ან რა ხსიათის იყო ის სამუშაო, რომელიც ამ საკითხის მოსაგვარებლად შესრულდა?

თავისთვად იგულისხმება, რომ პირეელ ჩიგში შესწავლილ იქნა ქართული ტერმინოლოგიური ლექსიკისათვის დამთხასიათებელი სინონიმის შემთხვევები და მათი შემაპირობებებელი ფაქტორები<sup>16</sup>.

სხვადასხვა დარგის მასალის შესწავლამ გაირკვია, რომ სინონიმების მეტი წილი სამეცნიერო ტერმინოლოგიაშიც უცხო სიტყვების შემოკრასთან იყო დაკავშირებული<sup>17</sup>.

უდავოა, რომ, როგორიც არ უნდა იყოს ის ფაქტორები, რომლებიც იწვევენ სინონიმის, ტერმინოლოგიაში იგი არასაჭირო ენობრივ ფაქტადა მიჩნეული. ტერმინოლოგთა ამოცანაც მათ სრულ ლიკვიდაციაში თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სინონიმთა რიცხვის გარკვეულად შეზღუდვაში მდგომარეობდა.

ცნობილია, რომ საერთაშორისო ტერმინისა და ქართული ტერმინის ონარსებობა ერთი იმ შემთხვევათაგანია, როდესაც ყველაზე ნაკლებ ხერხდება სინონიმის თავიდან აცილება. ამ შემთხვევაში ოჩევანის გაკეთება იყო საჭირო: იმისდა მიხედვით, თუ როგორი გაცრცლებისა იყო სინონიმური წყვილის თითოეული წევრი, ხან ერთს მიეცა უპირატესობა, ხან — მეორე. ამის შედეგი იყო, რომ ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში ასეთი შეფარდება დარჩა: ხუროთმოძღვრება, არქიტექტურა; განმხოლება, იზოლაცია; მინანქარი, ემალი; აირი, გაზი; შვეული, ვერტიკალური; მუდმივა, კონსტანტა; ჩუქურთმა, ორნამენტი; ლავგარდანი, კარნიზი; წყირი, შტიტი; იარაღი, ინსტრუმენტი; ნაწარმი, ფაბრიკატი; ბაქანი, პლატფორმა; თარგი, შაბლონი; კაპანო, ბოტი; განცურება, აბსტრაქცია; ბარიერი, თარჯი; წნევი, პრესი; საწური, ფილტრი და სხვ.

მაგრამ ამავე ლექსიკონებში სხვა შემთხვევებში დომინანტად საერთაშორისო ტერმინები შეირჩა: აბაური, შუქფარი; ანემომეტრი, ქარ-

16 იბ. ჩ. ღ ამბაშიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 38—39.

17 ამ საკითხთან დაკავშირებით ინტერესს იწვევს შ. ა ფრიდონიძის ნაშრომი „საკუთარი ლექსიკისა და ინტერნაციონალიზმების სინონიმური მიმართებისათვის“ — საქ. სსრ მეცნ. ეკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLIII სამეცნიერო სესიის მოხსენებათ თეზისები, თბ., 1985. სტატია სრულად დაბეჭდილია ამავე კრებულში.

საჭირო; ანემოგრაფი, ქარჩამშერი; ალტიმეტრი, სიმაღლესაზომი; პეზ-ზა, მინეაცა; რემონტი, შეკეთება და სხვ.<sup>18</sup>

პირველი წელის მაგალითებში ქართული ეკვივალენტების გვერდით უცხო წარმომავლობის ტერმინების დატოვება იმით იყო ნაკარნაცვი, რომ ეს უცხო სიტყვები საერთაშორისო ტერმინებადაა ქცეული და ქართულში, ისევე როგორც მრავალ სხვა ენაში, ლექსიკური სისტემის განუყრელ ნაწილადაა მიჩნეული<sup>19</sup>.

მეორე წელის მაგალითებში კი ტოლფასოვანი მნიშვნელობის მქანე ქართული ტერმინების მეორე კომპონენტებად არჩევა იმით იყო შეპირობებული, რომ ისინი ტერმინოლოგიურ სიტყვათხმარებაში გარკვეულად გზას უთმობენ საერთაშორისო ტერმინებს, როგორც უფრო ფართო ხმარებისა და გამოყენების სიტყვებს. ის ხელოვნური ქართული შესატყვისები<sup>20</sup>, რომლებიც მარჯვედ ვერ გამოხატავდნენ ცნების შინაარსს და რომლებსაც პრაქტიკულად ნაკლები გამოყენება ჰქონდათ, უკუგდებულ იქნა ტერმინოლოგიის განვითარების აღრეულ ეტაპზევე-თვალსაჩინოებისათვის ერთმანეთს რომ შევუდაროთ ამ თვალსაზრისით, ერთი მხრით, 1935 წელს გამოცემული „ტექნიკური ტერმინოლოგია“ და, მეორე მხრით, 1977 წელს ამავე სახელშოდებით გამოცემული ლექსიკონი, ასეთი სურათი გვექნება:

1935 წ.

ფოტოლიზი, შუქით შლა
ვიბრატორი, მორითოლარი
ვიბრაცია, ორთოლა
ანალოგია, თანაგვარობა
კარბურატორი, საორთქლავი
კოლექტორი, მკრები
კონტაქტი, თანხება
კონდენსაცია, ნამად ქცევა

1977 წ.

ფოტოლიზი
ვიბრატორი
ვიბრაცია
ანალოგია
კარბიურატორი
კოლექტორი
კონტაქტი
კონდენსაცია

18 სტარიაში გამოყენებული საილუსტრაციო მასალა ჩერნში გამოქვეყნებული ტერმინოლოგიური ლექსიკონებიდანაა მოკრებილი (იმის გამო, რომ მაგალითებთან კველა ცალკეულ შემთხვევაში სათანადო ლექსიკონში მითითება პრაქტიკულად არა მოსახურებელი, ვარჩევთ ზოგადი წყარო დაგვეხსახულებინა).

19 უცხო სიტყვათა შემოკრის ისტორია, ინტერნაციონალიზაციის პრიცესები, რომლებიც ქართული კულტურის ისტორიის საკითხებს უსაფრთხოდება და სათავეს შორეული დროიდან იღებს, საგანგებო შესწავლას საჭიროებს.

20 ხელოვნურ ტერმინებში როდესაც ელაპარაკობო, მხელველობაში გვაქვს არა მხოლოდ 1920-იანი წლების ლექსიკონები, როდესაც პურისტული ტენდენციების გამო ხმარებიდან განდღვენილი იყო ყველა ინტერნაციონალური სიტყვა, და მათ ნაცვლად სონით გამოვინილი სიტყვა იყო მიღებული, არამედ მოგვიან პერიოდის (30-40-იანი წლების) ტერმინოლოგიური ლექსიკონები.

1935 წ.

1977 წ.

დოზა, კერძი  
ივტოლრომი, ავტოსარბიელი  
აპრეტურა, გამოყვანა  
კომპონენტი, შემდგვნი  
სკალპელი, პირთხელი  
ბარი, შეერჩიდი

დოზა  
ივტოლრომი  
აპრეტურა  
კომპონენტი  
სკალპელი  
ბარი

და სხვ.

ამგვარად, ერთი შეხედვით მარტივი საკითხი მოითხოვდა ვრცელი ემპირიული მასალის შესწავლას და თითოეული ტერმინის ხმარების მასში და ამგვარად ცოდნას, რომელთა ფარგლებშიც უნდამოდა ამ ტერმინებს ფუნქციონირება.

ზემოთ მოყვანილ მაგალითებში თუ საკითხი სინონიმებს შორის უპირატესობის მიცემას შეეხებოდა, სხვა შემთხვევებში სინონიმური ცალის სრული ლიდვიდაციის საკითხი იდგა.

როგორც ცნობილია, სამეცნიერო ტერმინოლოგიაში სინონიმის არსებობის ერთ-ერთი მიზეზი სახელდების სხვადასხვა კრიტერიუმი შეიძლება იყოს. იმის გამო, რომ ყოველ სიტყვას აქვს და ნოტაციური და სიგნიფიკაციური მნიშვნელობა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი სიტყვის შინაარსი გულისხმობს ორ მხარეს — საგანს და ამ საგნის მნიშვნელობას, საგანი შეიძლება შეუსებული იყოს სხვადასხვაგვარად: ფორმის, დანიშნულების, მასალის, დამზადების ტექნოლოგიის, ფერის ან კიდევ სხვა რაიმე ნიშნის მიხედვით (ასე, მაგალითად, ფორმის მიხედვითაა შერქმეული: მრავალჯერისა, ოვალოიდი; დანიშნულების მიხედვითაა: სარჩილადი, სატკენი, მაცივარი, ამკრები, საიდაუცვე, საყურისი, სამაჯური და სხვა.; მას აღნის მიხედვითაა: ხის ჩაქუჩა, ხეფენილი, ქვასაწური, აგურის იატაკი, პლასტმასის ლაზერი და სხვ.; დამზადების ტექნოლოგიისა თუ სხვადასხვა პროცესის შედეგადაა მიღებული: შენადობი, ნათრიმლი, ნატვიფრი, ნაფხვენი, ნაქერქი და სხვ.; ფერის მიხედვით: რძისფერი კვარცი, ლურჯა, თეთრა და სხვ.).

სახელდების პრიციპის ეს მრავალასპექტურობა ერთსა და იმავე დენოტატისათვის (საგნისა თუ მოვლენისათვის) სხვადასხვა სახელის შერქმევის სიფუძველს ქმნის.

ტერმინოლოგიური პრაქტიკიდან ამის ნიმუშად სიტყვა ლაგსანი შეიძლება დაგვასახელოთ, რომელიც არასტანდარტიზებულ ენაში სხვადასხვა სახით იხმარება<sup>21</sup>. ლავსანი ხელოვნური ბოჭკოა, რომელსაც იყე-

<sup>21</sup> Веселов П. В., Оправданный случай синонимии — „Русская речь“, М., 1969, № 5, გვ. 77—81.

ნებენ ქსოვილების, სატრიკოტუკო ნაწარმის და მისთანათა დასამზადებლად. ცნობილია, რომ ეს სიტყვა აბრევიატურას წარმოადგენს და იმ ლიაბორატორიის სახელწოდების ინიციალებისაგანაა შემდგარი, სადაც პირველი დამზადდა ეს ქსოვილი (=Лаборатория высокомолекулярных соединений Академии наук)<sup>22</sup>. ამგვარი დასახელებით ეს ქსოვილი იხმირება როგორც სავაჭრო ნიშანი. ქიმიური შედეგნილობის მიხედვით ქიმიკურსებმა მსა, თანამად უწევის ნომერკლატურისა, პოლიეთოლენტერეუთალატი შეარქევს. რადგანაც პოლიეთოლენტერეუთალატი კუთხის ისეთი პლასტმასების კატეგორიის, რომლებიც მიღებულია პოლიმერებისაგან, სპეციალისტების გარკვეულმა ჭრემ მას ტერმლასტი უწოდა.

ამგვარად, გაჩნდა ერთი საგნისათვის სამი სხვადასხვა სახელი: ლავსანი, პოლიეთოლენტერეუთალატი და ტერმლასტი. ამას თუ დაუუმატებო იმასაც, რომ სხვადასხვა ქვეყანაში ლავსანს განსხვავებული სახელი იქვე (ტერმლენი — დიდ ბრიტანეთში, დაკრონი — აშშ-ში, ელანი — პოლონეთში, ტესილი — ჩიხოსლოვაკიაში)<sup>23</sup>, ლავსანის სახელწოდებათა რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება.

სხვა ენებში არსებულმა სიჭრელემ ქართულშიც იჩინა თავი და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ამ ცნების აღსანიშვნად სპეციალისტებს შორის ხან ერთი დასახელება გვხვდებოდა, ჩან — მეორე.

ანალოგიური მაგალითი ერთი ცნებისათვის სხვადასხვავარი ტერმინის ხმარებისა ყველა დარგის სინამდვილიდან შეიძლება იქნეს დასახელებული. ასე, მაგალითად, „სილიკატების ქიმიისა და ტექნოლოგიის ტერმინოლოგიაში“ კრისტალური მინის რამდენიმე (ლოკალურად განსხვავებული) სახელი იყო ფიქსირებული: სიტალი (სსრკ-ში), რუმინული ფაიცური (რუმინეთში), პირკერამი (აშშ-ში), ვიტრო-კრამი (გდრ-ში), კრისტონი (ჩიხოსლოვაკიაში), დევითროკერამი (იაპონიაში), კვაზიგლაზი (პოლონეთში), მინელლიტი (უნგრეთში).

რასაკირველია, თითოეული ამ საგნისათვის რამდენიმე სხვადასხვა სიტყვის ხმარება, ისევე როგორც ეს ლავსანთან დაკავშირებით იყო აღნიშნული, ბუნებრივ ფაქტიად ას შეიძლებოდა ყოფილიყო მიჩნეული. ტერმინოლოგების ჩარევა გახდა საჭირო, რომ ერთი გაღამზვეტილება ყოფილიყო მიღებული.

ამჟამად სახელმწიფო სტანდარტების მიხედვით ამ ორი ცნებისათვის რუსულში საყოველთაოდ მიღებული ლავსანი და სიტალი ქართულშიც იქნა დატოვებული.

22 ქ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, 1973, გვ. 233-234.

23 იხ. Политехнический словарь. М., 1976, Статья: Полиэфирные волокна, с. 378.

სინონიშების ლიკვიდაციის საკითხი კიდევ უფრო მწვავედ ისმოდა ქართული მსალის მიმართ. საჭირო ხდებოდა აქტიური ხმარების იდენტური ან თითქმის იდენტური მნიშვნელობების მქონე ორი სიტყვიდან ერთ-ერთი ყოფილიყო ამოღებული და მეორეს მინიჭებოდა უპარატესობა. ეს საქმაოდ რთული ამოცანა იყო, რადგანაც სათანადო საფუძველი ერთ-ერთი ამგვარი სინონიმის გაუქმებისათვის ყოველთვის ადვილი დასაძებნი როდი იყო. ასეთ შემთხვევაში, რასკვირველია, ანგარიში ეწეოდა, უპირველეს ყოვლისა, ტერმინის გავრცელებულბას, სამეცნიერო ლიტერატურასა და პრაქტიკაში მისი ხმარების ტრადიციას და სხვა მომენტებს — სიტყვის აგებულებას, მორფოლოგიურ გაფორმებას და სხვ.. მაგრამ შეფასების ეს კრიტერიუმები ხშირ შემთხვევაში უკმარი ჩანდა. სწორედ მა სირთულით იყო გამოწყეული ის, რომ ზოგჯერ ერთვარი ხელოვნური გადაწყვეტილების მიღებაც კი ხდებოდა აუცილებელი: მნიშვნელობები ნაწილდებოდა მონათესავე ცნებებისათვის სინონიმთა შორის (შდრ. თვალი კოლესი და ბორბალი შკის).

ხდებოდა ისეც, რომ უსაფუძვლოდ განიდევნებოდა სინონიმური შრეტივის ერთი წევრი. ასეა ამოღებული საზღვაო ტერმინოლოგიურან ხომალდი (გემის სინონიმი), სატყეოდან — ნუჟრი (როკის სინონიმი), კავკი (კაუჭის სინონიმია), ზიდა (ზიგა-ს სინონიმია) და ა. შ.

ვეიქტორით, ამ სინონიმთა ოლკვეთა ერთი ტერმინოლოგიური სისტემის ფარგლებში მხოლოდ დროთა განმავლობაში შეიძლება იქნეს მიღწეული, თორებ ერთბაშად ამისი დაძლევა პრაქტიკულად რთული ამოცანა და თითქმის შეუძლებელიც.

გარკვეული დრო დაჭირდა რავედკა-ს ქართული შესატყვისების უნიფიციირებას. გეოლოგთა ერთი ნაწილი დაზვერვას ხმარობდა, მეორე — ძიებას, მესამე კი — ძებნას. დღეს თდესლაც სინონიმებად ნახმარი ეს ტერმინები ქარგადა დანაწილებული. სემანტიკური დაფურენციაციის შედეგად სამი სხვადასხვა (თუმცა მონათესავე) ცნებისთვის სამი ტერმინი მივიღეთ: რავედკა — დაზვერვა, ისკანე — ძიება, პინკი — ძებნა.

დღხანს მეტოქეობდნენ, როგორც სინონიმური წყვილები, ტერმინები ეკონომიკური და ეკონომიკური. ქართველი სპეციალისტებისათვის ქარგადა ცნობილი საკითხების მთელი წყება და ის ეტაპები, რომლებიც ამ ტერმინების უნიფიცირებისათვის იქნა განვლილი. ეს უბრალო ორთოგრაფიული ვარიანტები როდია. დღეს ამ ტერმინთა ხმარებაშა სრული სიცხადეა შეტანილი: პირველი, ჩვეულებრივ, მომკირნე-ს (რუსული ეкономичныЙ-ს) მნიშვნელობით იხმარება (გვხდება მხოლოდ

ერთი გამონაკლისი — პოლიტიკური ეკონომიკა), მეორე კი რუსული ეკონომიკური და ეკონომიკის ცნებას უკავშირდება.

თუმცა ტერმინოლოგთა ამოცანა სინონიმთა მინიმუმაშიც დაყვანაში მდგომარეობდა, მაგრამ მომხდარა ისეც, რომ იმავე სპეციალისტების მიერ ტერმინოლოგიურ ლექსიკურ სისტემაში უკვე არსებული ტერმინის გვერდით მისი სინონიმის შემოტანა გამხდარა აუცილებელი. ეს ისეთი შემთხვევები იყო, როდესაც არსებული ვარიანტი არა-დამაქმაყოფილებლად იქნა მიჩნეული, მაგრამ ერთი ხელის მოსმით მისი გაუქმება არ ხერხდებოდა და სინონიმი საცდელად, პრაქტიკაში შესამოწმებლად ყოფილა შემოთავაზებული. ამის ნიმუშად „საქონელთმცოდნეობის ტერმინოლოგიან“ რუსული ბოთინკი-ს ქართული შესატყვისები შეიძლება დავასახელოთ.

სტანდარტების მიხედვით, საქონელთმცოდნეობის ტერმინოლოგიაში ფეხსაცმლის მრავალი სახეობაა გარჩეული: ცაფი, ბოთინკი, თუფლი, სანდალი, იპანკი, გუსარი, ცუვიკი, მოკასინი და ბევრი სხვ.

სწორედ სტანდარტების გათვალისწინებით „ვაჭრობის ეკონომიკისა და საქონელთმცოდნეობის რუსულ-ქართულ ტერმინოლოგიურ ლექსიკონში“ ფეხსაცმლის 21 ძირითადი დასახელებაა შეტანილი. თითოეულ ამ ფეხსაცმელს თავისი სხვადასხვა სახეობა აქვს. გარჩეულია მამაკაცის, ქალისა და ბავშვის, საზამთრო და საზოგადო, საშინაო და საგარეო, სხვადასხვა მასალისა და ფორმის, სპორტული თუ სხვა და-ნიშნულებისა და ა. შ. ფეხსაცმელი.

დასახელებული ტერმინებიდან რუსული ბოთინკი-ს ქართულ შესატყვისად აქამდე მხოლოდ აღწერითი ფორმა — დაბალყელიანი ფეხსაცმელი (იხ. 1983 წ. რუს.-ქართ. ლექს.) ან ყელიანი ფეხსაცმელი (იხ. 1956 წ. რუს.-ქართ. ლექს.) იხმარებოდა. ბოთინკი-ს ეს მნიშვნელობა რუსული განმარტებითი ლექსიკონების მიხედვითაა გამოყენილი (რუსული სალიტერატურო ენის 17-ტომიან ლექსიკონში ბოთინკი ასეა განმარტებული: Разновидность невысокой, не имеющей голенищ мужской, женской и детской обуви, изვе французский bottine). რუსული ენის ოთხტომეტულ ლექსიკონში (1957—1961): Род невысокой обуви на шнурках или пуговицах). ამგვარად, ეს სახელწოდება — დაბალყელიანი ფეხსაცმელი — არ არის კრთადერთი ნიშანი, რომლითაც ეს ფეხსაცმელი გამოიჩინება სხვა ფეხსაცმლისაგან. ამდენად, იგი საკლასიფიკაციო ნიშნად ვერ გამოდგება, რასაც ტერმინის შერჩევისას არსებითი მნიშვნელობა აქვს. დაბალყელიანია, მაგა-

ლითად, წუღაც<sup>24</sup> და ასევე ფილოსილიკური ფირმების მიმართ გამოყენების შემთხვევაში სტანდარტების თანახმად (ინ. ГОСТ 23251-78), ბოთინკი ამ ნიშნის მიხედვით სულ არაა განმარტებული (იქ ვკითხულობთ: „Обувь с берцами, закрывающими лодыжки и имеющими приспособления для закрепления обуви на ноге“), ცხადი განდება, რომ ფეხსაცმლის ეს სახელმწოდება არაა ზუსტად შორინენტირებელი.

ამგვარად, ამ ფაქტება, რომ, ერთი მხრით, დაბალყელიანი არაა ფეხსაცმლის სერთი დახასიათება, რომელიც მას გამოარჩევს სხვა ფეხსაცმლისაგან, და, მეორე მხრით, იმან, რომ სახელმწიფო სტანდარტებში ეს რეალია სრულიად სხვა ნიშნის მიხედვითაა შეფასებული, საფუძველი მისცა ტერმინოლოგიებს ბოთინკის ქართულ შესატყვისად აღწერით ფორმასთან ერთად მეორე ტერმინი, მისი სინონიმი — მოგვება ეხმარათ. ამგვარად, მნიშვნელობები ასე დანაწილდა: საფირო ჩექმა, საფირო წალები, ცუვის წუღა, ბოთინკი დაბალყელიანი ფეხსაცმელები, მოგვები.

სიტყვა მოგვი ძეველი ქართულის კუთვნილებაა. იგი ძეველად ჩექმას სინონიმად იხმარებოდა<sup>25</sup>. ამჟამად „მოგვი“ მკვდარი სახელმწოდებაა. ამიტომ აღვილად მოხერხდა ჩექმასა და მოგვს შორის მნიშვნელობების გადანაწილება და ამ უკანასკნელმა კვლავ მოქალაქეობა მოიპოვა და ბოთინკის ქართულ შესატყვისად იქცა.

ამ გადაწყვეტილებამ შესაძლებლობა მისცა ტერმინოლოგიებს ეპტერმინი საკლასიფიკაციო რიგში ჩაეყენებინათ და ფეხსაცმლის აღმნიშვნელი თითოეული ცნებისათვის დიფერენცირებული ტერმინი დაეწესებინათ.

ამჟამად მოგვის შემოღება ექსპერიმენტის წასიათს ატარებს და, იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება ენის განვითარების ტენდენცია, რამდენად გააძართლებს მის დამკიდრებას პრაქტიკა, იგი შეიძლება ერთადერთ ვარიანტაც კი დარჩეს.

არაერთგზის ჩატარებული პოლისემის თავიდან ასაცილებელი ცდებიც, რომლებიც წარმატებით დამთავრებულა. ნიმუშებისათვის მხოლოდ ერთ მაგალითს დავისახელებთ: ქართულ სამშენებლო ტერმინოლოგიაში სიტყვა ხასურავი დიდხანს ორი მნიშვნელობით იხმარებოდა: а) შენობის, ნაგებობის ზედა ნაშილი (ნივნივების, ლარტყების, კრჭებისა და მისთანათა ერთობლიობა), б) სახურავის ის ნაშილი, რო-

<sup>24</sup> წ ლ ა უ დ ა უ დ ა ლ ე ლ ი ა ნ დ ა ბ ა ლ ე ლ ი ა ნ ი ფ ე ხ ს ა ც მ ე ლ ი (ქ ე გ ლ ).

<sup>25</sup> Полусапожки დაბალყელიანი, მოკლეყელიანი ფეხსაცმელი (რქლ), 1983.

<sup>26</sup> მ ო გ ვ ი ჩ ე ქ მ ა ს ხ უ რ ა თ ა ე ნ ა, ქ ა რ თ უ ლ ა დ მ ო გ ვ ი (ს ა ბ ).

მელიც იგება ნივნივებზე სხვადასხვა მასალისაგან (კრამიტისაგან, ისლისაგან, შითერისაგან და სხვ.) და იცავს ნაგებობას ატმოსფერულ? მოვლენებისაგან.

ქართულ სამეტყველო ენაში ეს ორი განსხვავებული ცნება ტერმინის გამოხატვის თვალსაზრისით არეულია. თანამრად ითქმის სახლის სახურავი, კრამიტის სახურავი, ისლის სახურავი და სხვ. ამ ტერმინთა სერ ხმარებას რუსულიც უწყობს ხელს, სადაც კრыша და კровля საერთო ენაში სემანტიკურად არა გამივინული.

ქართველ მშენებელთა მეტყველებაში დღეისათვის შეტი სემანტიკური სიცხადეა შეტანილი და მნიშვნელობები ასეა განაწილებული: პირველისათვის სახურავი დარჩა, ხოლო მეორე ცნებისათვის მონათესავე სემანტიკის მქონე, ფაქტობრივად მისი ლექსიკური სინონიმი ბურული იქნა შემოტანილი.

ბურული დიალექტური წარმომავლობის სიტყვაა. იგა სალიტერატურო ქართულის (და)ბურგა მასდარის მიმღეობურ ფორმას წარმოადგენს, რომელიც გურულსა და იმერულში არის დადასტურებული. აღნიშნულ დიალექტებში ამ სიტყვას სხვადასხვა ნიუანსია აქვს<sup>27</sup>. მაგრამ ტერმინოლოგებმა მისი ძირითადი მნიშვნელობა აირჩიეს (= ისლის სახურავი), გაუფართოვეს მას მნიშვნელობა (იგი არა მარტო სახურავი მასალის აღმნიშვნელად გამოიყენეს, არამედ სხვა მასალისთვისაც) და თანაც ისე, რომ მას ერთი გარკვეული ცნების გამოხატვა დააყისრეს. ამგვარად გვაქვს:

გოტიკური სახურავი	готическая крыша
გუმბათოვანი	купольная
დამრეცი	пологая
თაღოვანი	арочная
კონუსური	коническая
მანსარდული	манкардная
ორფერდა	двускатная
აზბესტცემენტის ბურული	аэбестоцементная кровля
ქვადაფის	аспидная
თიხაჩალის	глиносоломенная
სოლუავრის	гонтовая
ფიცრის	деревянная

27 თბ. ქვემ: 1. კუთხ. (იმერ.) ისლის სახურავი; 2. კუთხ. (ვურ.) ისლით დაზურული ნაგებობა.

ყავრის	"	драночная	"
ისლის	"	камышевая	"
ჩალის	"	соломенная	"
ტოლის	"	толевая	"
ლერწმის	"	тростниковая	" და სხვ.

იმ რუსულ გამოთქმებში, სადაც კровля-ს და კრიპა-ს მნიშვნელობები ერთმანეთის მონაცელებით ნახმარი (ე. ი. როცა კროვა კრიპა-ს სინონიმადაა გავებული)<sup>28</sup>, გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ლექსიკონებში რუსული მასალის მიწოდებისას ასეთი ხერხია ნახმარი: კროვა-ს კრიპა-სთანაა მიგზავნილი და იმგვარად ამ ტერმინთა აურევის საფუძველია ლიკვიდირებული:

кровля дускатная	об.	крыша двускатная	
" коническая	об.	" коническая	
" односкатная	об.	" односкатная	
" цилиндрическая	об.	" цилиндрическая <sup>29</sup>	

სინონიმისა და პოლისემისა ზემოთ განხილული საკითხები ერთი მცირე ნაწილია იმ დიდი სამუშაოსი, რომელიც ტერმინთა ნომინაციასა და სემანტიკურ ინოვაციებთანაა დაკავშირებული, მაგრამ საკითხების ასეთი სქემატური, ფრაგმენტული განხილვაც კი კმარა იმის გამართვალისწინებლად, თუ რა ენობრივი ოპერაციების შესრულება სჭირდება ტერმინოლოგის, რა ინტენსიური ჩარევა, რა როზული გზის გავლაა საჭირო იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს მნიშვნელობათა კოდირება და ტერმინთა აზრობრივი გამართვა.

ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი საკითხის დასმა და მოვცარება გახდა საჭირო ტერმინოლოგ-სპეციალისტთა პრაქტიკული მოღვაწეობის მანძილზე: წარმოების ნაირგვარი საშუალებანი, მათი სპეციალიზება, ქართული ფრაზემების რუსულ მასალასთან მისადაგება, ცნებისა და მისი გამომხატველი ტერმინების შესატყვისობის უზრუნველყოფა და მრავალი, მრავალი სხვა.

ტერმინოლოგების ამოცანები დღეს ძალზე დღიდა. ის ეტაპი, როდესაც იღვა საკითხი ამა თუ იმ ცალკეული ცნების შესატყვისის მო-

28 ი. 17-ტომეტული თანამედროვე რუსული ენის ლექსიკონი (სტატიი): კროვა და კრიპა.

29 რუსული მასალის ასეთი მიგზავნის საფუძველი, რასკვირველი, თეთრ რუსული საცნობარო ლიტერატურის მიხედვით გახდა შესაძლებელი.

პოვებისა, უკვე დიდი ხანია განვლილია. ახლა საკითხი ეხება ნორმა-ლიზაციის უფრო ფართო მასშტაბებს.

ტერმინთა უნიფიკაციისა და ნორმალიზაციის საკითხებს უშუალოდ უკავშირდება ნორმის რეალიზაციის, ნორმისა და უზუსის საკითხები.

დადგენილი ნორმების დანერგვას სახელმწიფო დაწესებულებებში, სკოლებში, რედაქტია-გამომცემლობებში განსაკუთრებული კონტროლი ეშვეა რესპუბლიკაში. დღეს ტერმინოლოგიური სიტყვათმარების მაღალი კულტურა ჩვენში საკამათო არ არის. ამაზე მეტყველებს სამცცნიერო შრომების, სპეციალისტების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სახელმძღვანელოების ენა. მიუხედავად ამისა, ტერმინოლოგიურ სიტყვათმარებაში დასტურდება ნორმის დარღვევის შაგალითებიც:

1. არამართებული წარმოების შემთხვევები გვხვდება, კერძოდ, უცხოური სიტყვებისგან მომლინარე -ურ სუფიქსით გაფორმებულ ზედსართვებში. როგორც ცნობილია, ამგვარი ზედსართვების წარმოების ორ შემთხვევას განარჩევენ: а) ნახესხებია ზედსართვი სახელი; б) ნახესხებია არსებითი სახელი. პირველ შემთხვევაში ქართული სუფიქსი სათანადო უცხო ენის ზედსართვის ფუძეს ემატება:

ექტუალ-ურ-ი  
რეალ-ურ-ი  
სოციალ-ურ-ი  
კონკრეტ-ულ-ი  
სერიოზ-ულ-ი

მეორე შემთხვევებიში ქართული სუფიქსი არსებითი სახელის ფუძეს დაერთვის:

ფუნქცია — ფუნქცი-ურ-ი  
პოტენცია — პოტენცი-ურ-ი  
დინამიკა — დინამიკ-ურ-ი  
ჰიდრავლიკა — ჰიდრავლიკ-ურ-ი  
რევოლუცია — რევოლუცი-ურ-ი  
რეაქცია — რეაქცი-ულ-ი  
რეაქტივი — რეაქტი(ვ)-ულ-ი და ა. შ.

გამონაკლისს ქმნიან სიტყვები: მუსიკალური, თეატრალური, ცენტრალური და მისთ., რომელთა ხმარებას დიდი ხნის ისტორია აქვს.

საყოველთაოდ მიღებული ეს წესი ზოგჯერ ზეპირმეტყველებაში თანამიმდევრულად შეიძლება არ იყოს გატარებული და მართებული

წარმოების პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს უმატთებული ფორმებიც, რომლებიც ძველად იყო ნახმარი: ფუნქციურის ნაცვლად — ფუნქციონალური, რესპუბლიკურის ნაცვლად — რესპუბლიკური, ფუნდამენტურის ნაცვლად — ფუნდამენტალური.

2. ზოგჯერ არაა გარჩეული პარონიმები, კერძოდ, სხვადასხვა შინაარსის მქონე, მაგრამ გარეგნულად ერთმანეთს მიმსგავსებული ზედსართვები: მეთოდური და მეთოდიკური, პედაგოგიური და პედაგოგიკური და სხვ. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთ შემთხვევაში ანგარიშა ეწევა ფუძეს, რომლის მიხედვითაც გვაქვს: მეთოდი — მეთოდური, მეთოდიკა — მეთოდიკური; პედაგოგიკა — პედაგოგიკური, პედაგოგია — პედაგოგიური, პედაგოგი — პედაგოგური და ა. შ.

3. ყოველთვის არაა დაცული ნორმა რტუსული გზით შემოსულ ა-ზე დაბოლოებულ უცხოურ სიტყვათა ხმარებაშიც. ასეთ სიტყვებში ქართულში (რამდენიმე გამონაცემის გარდა) -ა დაბოლოება არის მიღებული: პარადიგმა, პირამიდა, პრიზმა, ციტატა, გირლანდა, გრიმასა და სხვ. ზეპირმეტყველებაში შეიძლება შეგვხვდეს ფორმები: პარადიგმი, პირამიდა, პრიზმი, ციტატი, გირლანდა, გრიმასი, რომლებიც უმართებულოდ გამონაცემის დანართის გათვანას არიან გათვანას არებული.

4. გვხვდება სიტყვაშარმოების წესების დარღვევის სხვა შემთხვევებიც, კერძოდ, ქართულში ანალიტიკურ ტერმინთა ერთ ჯგუფს, რომლებიც საგნის კატეგორიის სახელებს, კერძოდ კი, მანქანების, პარატების, დანადგრების, ხელსაწყოების, იარაღებისა და მისთვისა სახელწოდებებს წარმოადგენს, დანიშნულების მიხედვით აქვთ შერქმეული სახელი, რასაც სა-თი გაფორმებული საობიექტო მიმღეობა გაღმოვვეტის: სამსხვრევი მანქანა, საპენტი მანქანა, სარეცხი მ., საპეჭდი მ.; საფრეზაფი აპარატი, საკონტროლო ა., საკონტაქტო ა.; საფქვავი დანადგარი, საორქესტრებელი დ., საცდელი დ.; საანგარიშო ხელსაწყო, სათბობი ხ., სახურებელი ხ. და სხვ. სა-თია გაფორმებული მეტროლოგიის ყველა ქართული დასახელება: ქარსაჰომი, ხიმალლეხაზომი, წევიძასაზომი, ტალლასაზომი და სხვ.

ხა-ს გვერდით შედარებით იშევიათ და აქტიური მიმღეობის პრეფესიით, მა- პრეფექტით წარმოებაც გვხვდება. ეს ის შემთხვევებია, როდესაც მიმღეობით გამოხატული ფორმა დანიშნულებაზე კი არ მიუთითებს, არამედ იმ კონკრეტულ მოქმედებაზე, პროცესზე, რომელსაც ასრულებს ესა თუ ის მანქანა, აპარატი, აგრეგატი და სხვ. შაგ.: გამოგლები ხელსაწყო, დამსაომებელი მანქანა, გადამცემი მოწურობილობა, თვითწარმომქმნელი მანქანა, მახწავლი მანქანა, ბურღომიშოდი და ა. შ. ასეთი მიმღეობები რუსულშიც, ჩვეულებრივ, აქტიური მიმღეობის ფორმებითაა გამოხატული, ანდა ნაშმნარი (ოდესალაც მოქმედე-

ნული, ბენზინსაცავი, აზბესტბეტონი, ენერგიაშემცველი, მაგნიტურ-დრეკადი (და არა: ამინომჟავები, ალუმოსილიკატი, ბენზოჩასასხელია, ალუმინომანგანუმოვანი, ალუმინორგანული, ბენზოსაცავი, აზბესტო-ბეტონი, ენერგოშემცველი, მაგნიტოდრეკადი და სხვ.)<sup>30</sup>.

8. იშვიათად გვხვდება ორთოგრაფიული ხასიათის შეჯაპამობანი. როგორც ცნობილია, გერმანულიდან მომდინარე ეს-დაფუთონგიანი სიტყვები ტრადიციულად ქართულში (მცირე გამონაქლისის გარდა) აი-თი არის გაღმოცემული<sup>31</sup>: სამარკშაიდერო, შტააგერი, როშტაინი, შპურშტაინი, ლაიტმორტივი და სხვ.

ზეპირ სიტყვათხმარებაში აქა-იქ გვხვდება გერმანული ეს დიფორმ-გის უმართებულოდ ეი-თი გაღმოცემის შემთხვევები (სამარკშეიდერო, შტააგერი, როშტაინი, შპურშტაინი, ლაიტმორტივი და სხვ.).

ხდება ისეც, რომ ზემოთ დასხვებულ ფორმათა ანალოგით მო-სილიდნელი ეი-ს ნაცვლად აი არის ნახმარი: მართებული გეისერი (ისლანდიური geyser, რუს. гейзер) უმართებულოდ გაიჭერადა გაღ-მოლებული.

9. თანამედროვე ორთოგრაფიის მიხედვით, ბერძნულ-ლათინური წარმომავლობის სიტყვებში, სადაც th, ph და ch ფონემები გვაქვს, ქართულში შესაბამისად თ, ფ, ქ უნდა გვქონდეს<sup>32</sup>: გვხვდება ხმარების მცდარი შემთხვევები, მაგ.: ბისმუტი, ბისმუტინი, ქსანტინი, ქსანტე-ნი, ქსანტონი, ფტალიმიდი, სიმპატია, ანტიპატია, ქრესტონია. უნდა იყოს: ბისმუტი, ბისმუტინი, ქსანთენი, ქსანთონი, ფთალი-მიდი, სიმპატია, ანტიპატია, ქრესტონია.

ზემოთ ჩამოთვლილ სიტყვათა ანალოგით ზოგჯერ თ, ფ, ქ ნახმა-რია იქ, სადაც მათი ხმარება გამართლებული არ არის: ათებრინი (უნდა იყოს: ატებრინი), თერმინოლოგია (უნდა იყოს: ტერმინოლოგია) და ა. შ.

10. კერ კიდევ 1936 წელს დადგენილი სალიტერატურო ქართუ-ლის ნორმებიდან ცნობილია, რომ ლათინურიდან (გერმანულ-რუსუ-ლი გზით) მომდინარე სიტყვებში, სადაც ყა კომპლექსი გვაქვს, ქარ-თულში კვ-თი უნდა იქნეს გაღმოცემული და არა ქვ-თი<sup>33</sup>, ე. ა. უნდა იხმარებოდეს: აკვარელი, აკვარიუმი, ადეკვატი, ეკვივალენტი, კვალიტეტი, კვანტიტეტი, კვორუმი, აკვალინგი, რელიეფი და ა. შ.

30 იხ. მ. ა სა ძე, რუსული ენის შემართებელსმოენიანი კომპინიტების ქარ-თულად გაღმოცემისთვის. — კრ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, VI, 1984, გვ. 330—336.

31 იხ. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, 1970, გვ. 33—35.

32 იქვე, გვ. 41—42.

33 იქვე, გვ. 51—52.

მიუხედავად ამისა, აქა-იქ შეიძლება მაინც შეგვხვდეს ნორმის თვალ-საზრისით უმართებულოდ ნახმარი: აქვარელი, აქვარიუმი, აჟექვატი, აქვალენტი, ქვალიტეტი, ქვანტიტეტი, ქვორუმი, აქვალანგი, რელი-ქვა და მისთ., რაც ძველად ნახმარი მცდარი ფორმების გავლენით უნდა იქნეს ახსნილი.

ცალკეული შემთხვევებიდან ყურადღებას იქცევს ამგვარი სახას დარღვევები:

ხ მ ა რ თ ბ ე ნ:

მეორადი
მინიატურა
კარბურატორი
პნევმატური
ტრანსპორტერი
რეფულერი
მწარმოებლობა
ტყვიანი
სექციანი
ორსერიანი
ბლომანუე

უ ნ დ ა ი ყ ო ს:

მეორეული
მინიატიურა
კარბიურატორი
პნევმატიკური
ტრანსპორტიორი
რეფულიორი
მწარმოებლურობა
ტყვიანი
სექციანი
ორსერიანი
ბლანშანეუ და სხვ.

დასასრულ, დარღვევები, რომლებიც ძირითადად სალაპარაკო ენა-ში შეიმჩნევა, ყოველნაირი შეიძლება იყოს. მოლაპარაკე ინდივიდს შეიძლება კარგად არ ესმოდეს სიტყვის მნიშვნელობა და არამართებულად ხმარობდეს მას, ან არ იცავდეს ენობრივ ნორმებს — ჩარჩობდეს ძუთხურ ან სასაუბრო ენისათვის დამახასიათებელ გამოთქმებს, იყენებდეს უხეირო კალკებს, ბარბარიზმებს და ა. შ.

მაგრამ ნორმის დარღვევის ეს შემთხვევები, ისევე როგორც ზემოთ განხილული სხვა ფაქტები, ინდივიდუალურ ხასიათს ატარებს და უნდა იქნეს კვალიფიცირებული, როგორც ცალგაული პირის მიერ ნახმარი კვაზიონალიზმები.

ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული ნორმის საკითხები, სხვადა-სხვა სახის ორთოლოგიური პრობლემები განსაკუთრებული ზრუნვის საგნადაა ქცეული. ერთიანი ნორმის გატარების საკითხს ემსახურება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილება, რომლის ორგანოში — პერიოდულ კრებულში „ქარ-

თული სიტყვის კულტურის საკითხები“ (I—VIII ტომები) სისტემატურად ქვეყნდება სტატიები და ნარკევები მეტყველების კულტურის, ლექსიების, ფრაზეოლოგიის, სამეცნიერო ტერმინოლოგიის, ნორმისა და პრაქტიკული სტილისტიკის საკითხებზე.

შრომები, რომელიც მძღვნება ქართული ენის ცალკეულია ურჩინდესა და ტერიტორიული გარემონტი (დაგინგრივი) ლექციების შორის თაორიულ საკითხებს:

1. ი. ლ. აბულაძე, წერის ხელოვნებისთან დაკავშირებული რამდენიმე ძეგლი ქართული ტერმინი. — თუშე, ტ. 39, თბ., 1950.
2. ს. აბულაძე, თ. ბაქრაძე, რუსული „Гусь“ ტერმინის ქართული უსატყველისისათვის. — თუშე, ტ. 29, № 3, 1962.
3. შ. ალექსაძე, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები. — სმაზ, № 1, თბ., 1963.
4. ნ. თაძე, შეურანველეობის ტერმინოლოგიის ზოგი საკითხი. — ერტ. „საქ. სოცლის მეცნიერება“, თბ., 1972, № 6.
5. ლ. ასათიანი ვაშის კულტურასთან დაკავშირებული ლექსიკა ქართულში, თბ., 1978.
6. ა. აბაშებაძე, მოსახლეობის ერთეულების აღმნიშვნელი ტერმინები ქველ ქართულში. — „ორიონი“, თბ., სახ. უნივ. სიაუდილეთ კრებული (მიძღვნილი აკ. შანიძის დაბადების 80 წლისთვისადმი), 1967.
7. ე. ბაბუაშვილი, პურუშულ მცნარეთა ტერმინები. — თუშ სტუდ. შრ., ტ. 5, თბ., 1950.
8. გ. ბერიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინოლოგიისათვის. — ერტ. „მეცნიერება და ტექნიკა“, თბ., 1952, № 7; № 9.
9. ნ. ბურულაძე, ტერმინოლოგიურ გამოთქმათა სტრუქტურული ტიპები. საქ. სსრ მეცნ. ეკადემიის ენათმეცნ. ინსტიტუტის ასპირანტთა და ხალგაზრდა მეცნ. მშრალთა სამეცნ. კონფერენციის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1985.
10. ლ. გელენიძე, აღმარისის ანტროპიასთან და ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძეგლ ქართულში სხვა ქართველური უნიტის მონაცემებთან შედარებით, თბ., 1974.
11. ლ. გელენიძე, დასაზღვებელი თუ დამაშვაზებელი მანქანა? — კრ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, II, თბ., 1979.
12. ლ. გელენიძე, ტერმინოლოგიას და საერთოსახალხო ენის მიმართულისათვის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებით. — კრ. „ქართული მატყვის კულტურის საკითხები“, IV, თბ., 1981.
13. დ. გერიძე, გრამატიკული ტერმინები სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკოში. — კ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 4, თბ., 1969.
14. ივ. გიგანეგიშვილი, ზოგი სამოხელეო ტერმინისათვის „ველხისტყოსანში“. — კ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1966, № 5.
15. რ. დვალი, რ. ლამბაშვილი, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის სრულყოფისათვის. — ერტ. „სამეცნიერება და ტექნიკა“, № 8, თბ., 1977.
16. კ. თუშებაძე, მცნარეთა დასახელების შესწოვლის საკითხასაფის ქართველურ ენებში. — საქ. სსრ მეცნ. ეკად. ენამცნების ინსტიტუტის XVI სამეცნ. ენისის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1958.

17. ლ. ითარ დანიშვალი, ჩ. ერისთავის ტერმინოლოგიური შესამები. — ივე, XVI, თბ., 1968.
18. ვ. კახაძე აძე, ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის დამზადების გარემო. — ე. „ტექნიკა და მრავალი“, № 9, თბ., 1935.
19. თ. კახაძე, პურულ მცენარეთა ზოგი ტერმინის შესახებ ქართულში. — ივე, XII, თბ., 1956.
20. პ. კეკელიძე, რამდენიმე, გვრ კიდევ გაურჩეველი ტერმინი ჩვენი სისტორიის მცენარებისა. — თსუ მრავალი, ტ. 5, 1925.
21. პ. კეკელიძე, კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა უძველეს ქართული „დავითნის“ ტერმინოლოგიისა და ტექსტურული თავისებურებისა. — ერთიანება, III, თბ., 1955.
22. პ. კეკელიძე, სპორტული ტერმინოლოგია ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლთა მიხედვით. — ე. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, № 1, 1969.
23. გ. კვარაცხელიძე, სამეცნიერო და საგანგოობრივ მუშაობის ტერმინთა ფუნქციური სისტემები, საღომერო დისერტაცია, თბ., 1985.
24. ნ. კორნაძე, ტერმინოლოგიური ლექსიკის სიგნიტიკატისა და დენორატის ურთიერთობისათვის. — XX რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციაშით. პოლიტექნიკური ინსტიტუტის თანამშრომელთავის და წარმოების მუნიციპალურის, თემისები, II, თბ., 1976.
25. დ. შეღლიძიშვილი, ოთახი პეტრიწის ფილოსოფიურ შრომებში ნამართი ზოგიერთი ტერმინის განვირტებისათვის. — ე. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1968, № 1.
26. დ. შეღლიძიშვილი, ოთახი პეტრიწის ფილოსოფიურ ნაშრომისა ენა და ტრილი (მონარქაფია), თბ., 1975.
27. ჩ. ნიკოლაძე, ზოგადი ქიმიის ქართული ტერმინოლოგია უა ნოვენციალურა. — საქ. სსრ მედავიგურ მეცნიერებათა ინსტიტუტის შრომება, ტ. VI, თბ., 1950.
28. მ. თ. საძე, კულინრიის ტერმინები ძველ ქართულ ენში. — საქ. სსრ მეცნიერება, ენომეცნიეროւ ინსტ. ასპირანტობისა და ახალგაზრდა მეცნ. მუშაკთა სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათ თემისები, თბ., 1978.
29. მ. თ. საძე, რუსულ შემართობელმოვნიანი კომპოზიტების ქართულში გადმოცემის საყითხებითთვის (ტერმინოლოგიურ მასალაში). — კრ. „ქართული სიტყვის კულტურის საყორებო“, VI, 1984.
30. მ. თ. საძე, უცხოური წარმომავლობის ტერმინების წარმოება ქართულში ურ სუფექსის საშუალებით. — თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შრომები, 1985, XI.
31. მ. თ. საძე, უცხო სიტყვთა მორფოლოგიური აღაპტაციის ზოგი საკითხი ქართულ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში. — თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის ახალგაზრდა მეცნიერთა საბჭოს შრომები, 1986, ტ. XII.
32. მ. თ. საძე ვილი, ნათესავის ძირითადი ლექსიკა ქართულ ენში, ავტორუთ. საცნობა. დისერტ., თბ., 1950.
33. კ. ს. თ. ს. ე. ლ. ი. ა. ნათესავის აღმინშენელ ტერმინთა სისტემის ანალიზი ქართველური ენგბის მასალაში, თბ., 1979.
34. მ. ს. უ. რ. გ. უ. ლ. ა. დ. მცენარეთა პალეოგრაფიული ტერმინები, თბ., 1978.
35. მ. ფ. თ. ჩ. ხ. უ. ა. სპეციალური ლექსიკა საერთო ენში. — ივე, XVII, თბ., 1970.

36. ბ. ფოხტუა, არქაული სიტყვაწარმოება საქმიან ლექსიკაში. — ივ, XIII, თბ., 1973.
37. ი. ჭერქვაძე, ცხოველების აღმნიშვნელი ლექსიკა ქველ ქართულში, თბ., 1974.
38. ბ. ჭოგავა, ძირითადი ეკონომიკური ტერმინები სულხან-საბა თარბელიანის ლექსიკონში. — წიგნში სულხან-საბა თარბელიანი, საიტბილეო კრებული, თბ., 1959.
39. რ. ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინლოგიის ზამთრულების თანამდებობები მდგრადარება. — საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტისა და ალ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის ქართული ენას კათედრის გაერთიანებული სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თაზისები, 1964.
40. რ. ლამბაშიძე, ტერმინლოგიური მუშაობა საქართველოში, კრ. „ქართული სატყვის კულტურის საკითხები“, I, თბ., 1972.
41. რ. ლამბაშიძე, პირველი ტექნიკური ლექსიკონი და მისი როლი ქართული სამეცნიერო ტექნიკური ტერმინლოგიის ჩამოყალიბებაში. — „ქართველურ ენათ სტრუქტურის საკითხები“, V, თბ., 1981.
42. რ. ლამბაშიძე, პროფესიის აღმნიშვნელ ტერმინთა წარმოების ჟოვი ხაკოთხი. — კრ. აქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, VI, თბ., 1984.
43. რ. ლამბაშიძე, ქართული სამეცნიერო ტერმინლოგია და მისი შედეგის ძირითადი პრინციპები, თბ., 1986.
44. მ. კუჭარაძე, აუთი-და პროტივი- მორდველებით ნაწარმოებ რუსულ ტერმინთა შესატყვევისები ქართულ სამეცნიერო ტერმინლოგიაში. — კრ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, VIII, თბ., 1988.
45. მ. შათარაშვილი, ზოგიერთი ტერმინის მართებული ხმარებისათვის. — კ. სკოლა და ცხოვრება“, თბ., 1984, № 11.
46. ნ. შალებერიძე, სამეცნიერო-ბიოლოგიური ტერმინლოგია „დაბაზუბისათვეს კაცისა“ გორგო მთაწმილელის თარგმანში. — კ. „მაცნე“, ენისა და ლატერატურის სერია, თბ., 1970, № 1.
47. ა. შანიძე, ნათესაობის აღმნიშვნელი ერთი ტერმინი ქართულში. — სმაზ, XX, № 2, თბ., 1958.
48. ა. შანიძე, კვლავ ნათესაობის აღმნიშვნელი „შილ“ ტერმინსათვის. — სმაზ, ტ. XXV, № 5, თბ., 1960.
49. ა. რ. ჩიქობავა, ეტიმოლოგია ქველი ქართული ტერმინებისა ბლუარი, საზხარი. — ივ, V, თბ., 1953.
50. ა. რ. ჩიქობავა, ერთი ქველი საერთო ინტერულ-კუთხისათვის უკიდიშესაბებ მეცნიერობის ტერმინლოგიაში. — ივ, VI, თბ., 1954.
51. ე. ჩიქობავი, ზოგიერთ სამკურნალო მცენარეთა დასაბელებისა და ტერმინების დაზუსტებისათვის (სამკურნალო წიგნების მიხედვით). — კ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1972, № 4.
52. ა. ჩხერიძე, ქართულ ხალხურ სამშენებლო საქმეში გამოიყენებული ანთროპომორფული ლექსიკა, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის „მოამზე“, ტ. 127, № 3, 1987.
53. ა. ჩხერიძე, ქართულ ხალხურ ხუროთმოძღვრებისთან დაკავშირებული ლექსიკის ერთი გვერდის მოტივისათვის, კ. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, 1987, № 3.

54. ღ. ჩ. ბ. ბ. ი. ნ. მ. ვ. ი. ლ. ი., ქართული ტერმინოლოგიის შესწავლის ისტორიაზე. — იქ, XXII, თბ., 1980.

55. ჩ. ჭ. მ. ბ. უ. რ. ი. დ. კ., მეცნიერების ტერმინოლოგია ქვეყანა სიმოხეთში. — თსუ სტულენტთა სამეცნიერო ურთმების კრებული, ტ. III, თბ., 1948.

56. ი. ვ. ჭ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ქართული საბუთების აღმნიშვნელი ტერმინები. — „მიმომხილვები“, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანო, I, ტულიპისი, 1926.

57. ი. ვ. ჭ. ა. ხ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ხელოვნების ტერმინები და ძირითადი ცნიბები ხელოვნების ტერმინებისა და მატერიალური კულტურის შესახებ ქველ ქართულ უარისატურიში. — მასალები მატერიალური კულტურის ისტორიისათვეს, I, თბ., 1946.

58. ა. ჭ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., საბას ლექსიკონის ზოგიერთი ზოოლოგიური ტერმინის განმარტებისათვის. — სულან-საბა თრბელიანი (საოცნებილურ კრებული), თბ., 1959.

59. ა. ჭ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., ზოგიერთი ზოოლოგიური ტერმინისა და გამოიქმნის შესახებ. — ე. „სკოლა და ცოცვება“, თბ., 1963, № 4.

60. ა. ჭ. ა. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., მითოლოგიურ დასახელებათა შესახებ ზოოლოგიურ ტერმინოლოგიაში. — ე. „საქართველოს ბუნება“, თბ., 1963, № 7; № 8.

61. ა. ჭ. ა. ბ. უ. ტ. ი., რუსული რუსული ზნისტინგების ინც- (ინც-ი) ქართულად გაღმოცემის შემთხვევები ტექნიკური ტერმინოლოგიის მასალაზე. — საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშავთა სამეცნიერო კონფერენციის მოსხენებათა თეზისები, თბ., 1976.

62. ა. ჭ. ა. ბ. უ. ტ. ი., ინან, -ოვან, -ა სუფიქსებით ნაწარმოები ტერმონები. — საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტიტუტის ასპირანტთა და ახალგაზრდა მეცნიერ მუშავთა სამეცნიერო კონფერენციის მოსხენებათა თეზისები, თბ., 1981.

63. ა. ჭ. ა. ბ. უ. ტ. ი., მქონებლობის ერთი აფექტის შესახებ ტერმინოლოგიურ სიტყვაშარმოებაში. — კრ. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“, VIII, 1948.

64. Беридзе В. М., О порядке собирания и разработки грузинских научных терминов. — Известия АН Арм. ССР, 1950, № 7.

65. Гамбашидзе Р. Б. (выступление), О грузинской научной терминологии. — Вопросы терминологии, М., 1961.

66. Гамбашидзе Р. Б., Разработка грузинской научно-технической терминологии в связи с развитием высшего технического образования в Грузинской ССР. — Научно-техническая революция и функционирование языков мира. М., 1977.

67. Гамбашидзе Р. Б., Деятельность Отдела научной терминологии Института языкоznания АН ГССР. — Проблемы разработки и упорядочения терминологии в Академиях наук союзных республик, М., 1983.

68. Гамбашидзе Р. Б., Из истории грузинской технической терминологии и о путях ее дальнейшего развития. — Тезисы докладов конф. по вопросам взаимоотношения и развития языков Закавказья, Ереван, 1977.

69. Гигинейшили И. М., Чабашвили М. Н., Гамбашидзе Р. Б., Особенности развития грузинского литературного языка в советское время. — Внутриструктурное развитие старописьменных языков (ответств. редактор Ю. Д. Дешериев), М., 1973.

70. Гигинейшили К. М. (выступление), О грузинской лингвистической терминологии. — Вопросы терминологии, М., 1961.

71. Кобахидзе А. М., О месте научно-технической терминологии в переведном (двуязычном) словаре. — Тезисы докладов конф. по вопросам взаимоотношения и развития языков Закавказья, Ереван, 1977.
72. Комахидзе Р. А., Типологическое исследование системы русской физической терминологии сравнительно с грузинской. — Автореф. канд. диссерт., Одесса, 1982.
73. Меликишвили Д. Н., К становлению грузинской философской терминологии, ВЯ, V, 1979.
74. Меликишвили Д. Н., О путях развития и становления древне-грузинской научной терминологии. — Тезисы докладов конф. по вопросам взаимоотношения и развития языков Закавказья, Ереван, 1977.
75. Месхишишли М. В., Отраслевая лексика — источник научной терминологии грузинского языка (на материале картлийского диалекта). — Тезисы докладов конф. по вопросам взаимоотношения и развития языков Закавказья, Ереван, 1977.
76. Хомерики А. А., Семантический анализ медицинской терминологии в русском и грузинском языках (К проблеме национального и межнационального в терминологии). — Автореф. канд. диссерт., Тбилиси, 1986.
77. Чантuriashvili D. S. Становление и основные тенденции развития научно-технической терминологии в Грузии в советский период. — Проблемы разработки и упорядочения терминологии в Академиях наук союзных республик, М., 1983.
78. Чхубианашвили Д. З., И. А. Джавахишвили — исследователь грузинской научной терминологии. — Тезисы докладов конференции по вопросам взаимоотношения и развития языков Закавказья, Ереван, 1977.